

შალვა ხიდაშელი

შალვა ნუცუბიძე

(ცხოვრება და მოღვაწეობა)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

ნაშრომში მოკლედ განხილულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის ცხოვრებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთავარი მომენტები, ნაჩვენებია ის დიდი წვლილი, რაც მან შეიტანა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებასა და რუსთველოლოგიაში. ავტორი მოგვითხრობს შალვა ნუცუბიძის მიერ იმ დიდი მნიშვნელობის პრობლემათა დასმისა და გადაწყვეტის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია აღმოსავლეთის რენესანსთან და ფსევდოდონისე ირეოპაგელის საკითხთან.

ცხოვრება და მოღვაწეობა

1988 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავი. ერთ-ერთი მონაწილე იმ ქართველი პატრიოტი მოღვაწეებისა, ჭგუფისა, რომელმაც ეს დიდი კულტურული საქმე აღასრულა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე იყო.

შალვა ნუცუბიძის ლექციებმა და ფილოსოფიურმა სემინარმა თბილისის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიური აზროვნების აღორძინებას განახლებულ საქართველოში და მაღალ დონეზე აიყვანა ქართული ფილოსოფიური აზროვნება. მანვე დააფუძნა ქართველოლოგიის სრულიად ახალი დარგი — ქართული ფილოსოფიის ისტორია და დასახა რიგი პრობლემები, ახალი შუქი მოჰფინა მეცნიერების ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს.

მისი მოღვაწეობის მთავარ დარგს ფილოსოფია შეადგენდა, მაგრამ მისი ნიჭი, ფართო ერუდიცია და კვლევის მახვილი უნარი შემოქმედების მრავალ დარგში გამოვლინდა. თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე შალვა ნუცუბიძე აქტიური მონაწილე იყო ქართული კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებისა.

* * *

შალვა ნუცუბიძე დაიბადა 1888 წელს, 16 ივლისს, სოფ. ფარცხანაყანებში (ქუთაისის მახლობლად), სახალხო მასწავლებლის ისაკ იესეს ძე ნუცუბიძის ოჯახში. ისაკ ნუცუბიძეს დამთავრებული ჰქონდა გორის საოსტატო სემინარია (სწავლობდა ვაჟა-ფშაველასთან ერთად) და შემდეგ მასწავლებლობდა ხონისა და ქუთაისის სკოლებში. მახლობელთა მოგონებების მიხედვით ისაკ ნუცუბი-

ქე გამოირჩეოდა ენამახვილობისა და ტკბილმოუბრობით, ითვლებოდა ძალიან კარგ მონადირედ. მამამ ჩაუნერგა ნადირობის სიყვარული შალვა ნუცუბიძეს, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში ხშირად დადიოდა სანადიროდ მამასთან ერთად. ისაკი გარდაიცვალა 1927 წელს.

შალვა ნუცუბიძის დედა რებეკა, ასული მღვდელ ფილიპე დათიაშვილისა, სოფ. ქვიტირიდან იყო. პაპამ ფილიპე დათიაშვილმა და მისმა ოჯახმა დიდი გავლენა მოახდინა შ. ნუცუბიძეზე. ფ. დათიაშვილს ჰქონდა კარგი ბიბლიოთეკა, სადაც მრავლად იყო ქართული მწერლების ნაწერები და ქართული ჟურნალ-გაზეთები. მწიგნობარი პაპის ოჯახში ყოფნა ძალიან უყვარდათ ისაკ ნუცუბიძის შვილებს, კერძოდ შალვას, რომელსაც პაპის ზეგავლენით ელვებოდა ინტერესი ქართული მწერლობისადმი და აქ ეცნობოდა იგი ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს.

ისაკ ნუცუბიძის მრავალრიცხოვანი შვილებიდან მხოლოდ ნაწილმა მიაღწია სრულწლოვან ასაკს. შალვა ნუცუბიძის ერთ-ერთ დას — თამარ ისაკის ასულ ნუცუბიძეს — დამთავრებული ჰქონდა ოქროს მედლით ქუთაისის ქალთა გიმნაზია და სწავლობდა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. რევოლუციის შემდეგ იგი დაბრუნდა თბილისში, სადაც გააგრძელა სწავლა ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში და დაამთავრა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ჰიდროლოგიის განხრით. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მუშაკის და სწავლული მდივნის თანამდებობაზე. გარდაიცვალა 1955 წელს.

მეორე დამ ნინო ისაკის ასულმა ნუცუბიძემ დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია (აგრეთვე ოქროს მედლით) და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული სექტორი. მასწავლებლობდა თბილისში საშუალო სკოლაში, შემდეგ მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში რუსული ენის მასწავლებლად (გარდაიცვალა 1959 წ.)

შალვა ნუცუბიძე ჯერ სწავლობდა ხონის დაწყებით (ნორმალურ) სკოლაში; შემდეგ ამ სკოლის მესამე განყოფილებიდან გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზია დაამთავრა 1906 წელს.

ქუთაისის გიმნაზიაში მე-6 კლასის მოწაფეს — შალვა ნუცუბიძეს ირჩევენ მოწაფეთა არალეგალური ჟურნალის „განთიადის“ რედაქტორად. ამ ჟურნალს, რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგში ცნობილი ქართველი მეცნიერები — ალექსანდრე ჯანელიძე, აკაკი შანიძე და სხვები, ნუცუბიძე რედაქტორობდა გიმნაზიის დამთავრებამდე. როგორც შ. ნუცუბიძე იგონებს, ერთ-ერთი განხილვა „განთიადის“ ნომრებისა მომხდარა ხონში. ამ განხილვას დასწრებია ცნობილი რევოლუციონერი ალექსანდრე წულუკიძე და ჟურნალისათვის ფრიად დადებითი შეფასება მიუცია.

1904 და 1905 წლებში შალვა ნუცუბიძე აქტიურ მონაწილეობას ლებულობს გიმნაზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი, როგორც არალეგალური ჟურნალის რედაქტორი, 1904 წელს მიიღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წევრად. შალვა ნუცუბიძე რაიონულ პროპაგანდისტად მუშაობდა. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ალექსანდრე წულუკიძის დასაფლავებაში 1905 წელს, სადაც მან სიტყვა წარმოთქვა სამტრედიის ორგანიზაციის სახელით. 1905 — 1906 წლებში იგი რევოლუციონერ ვანო სტურუას ხელმძღვანელობით გამართული არალეგალური კრებების წევრია; 1906 წელს იმყოფება ჯგუფში, რომელიც ვანო სტურუას ხელმძღვანელობით პეტერბურგიდან ფინეთში გაემგზავრა ვ. ი. ლენინთან შესახვედრად. ლენინთან შეხვედრის შემთხვევა მას ეძლევა კიდევ ორჯერ — 1912-13 სასწავლო წელს ლაიფციგში და 1917 წელს ლენინგრადში. როგორც შ. ნუცუბიძე თავის მოგონებებში წერს, მას დიდი და ღრმა კვალი დააჩნია ვ. ლენინთან და შემდეგ ი. სტალინთან შეხვედრებმა.

1906 წელს შალვა ნუცუბიძე, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მიემგზავრება პეტერბურგს და იქ უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შედის, რომელსაც 1910 წელს ამთავრებს.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში შალვა ნუცუბიძე აგრძელებს კავშირს ქართველ რევოლუციონერ სტუდენტობასთან და კერძოდ, ვანო სტურუასთან, სილიბისტრო თოდრიასთან, მამია ორახელაშვილთან, შალვა ელიავასთან და სხვებთან; იგი მონაწილეობს სახელმწიფო სათათბიროს გახსნასთან დაკავშირებულ დე-

მონსტრაციაში და კავშირი აქვს სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატებთან.

1907 წელს უნივერსიტეტში, ფილოსოფიური სემინარის საჯარო სხდომაზე შ. ნუცუბიძე კითხულობს მოხსენებას თემაზე: „ფილოსოფიური და ისტორიული მატერიალიზმი“. სხდომას ესწრება და მოხსენების გარშემო გამართულ დისპუტში მონაწილეობს ცნობილი მეცნიერი ნ. ი. კარეევი. უნივერსიტეტში სწავლის წლებში შალვა ნუცუბიძე ხშირად ჩამოდის საქართველოში და კითხულობს საჯარო მოხსენებებს პოლიტიკურ საკითხებზე. ყველაზე დიდი გამოხმაურება პოვა მისმა ქუთაისში წაკითხულმა მოხსენებამ „მარქსიზმი და პიროვნება“, რომელშიც ამ მნიშვნელოვან საკითხს აშუქებს მარქსისტული მოძღვრების, ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე. ქუთაისის თეატრში გამართულ მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო; საქმეში პოლიცია ჩაერია, რასაც კინალამ მოჰყვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრთა დაპატიმრება, რომლებიც, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფნი, კულისებიდან უსმენდნენ მოხსენებას.

პეტერბურგში შალვა ნუცუბიძე მუშაობს ცნობილი პროფესორების — ა. ვედენსკის, ნ. ლოსკის და ი. ლაპშინის სემინარებში; უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს ყუბანის ოლქში მასწავლებლობს, უფრო გვიან, ა. ვედენსკის დახმარებით, რომელმაც კარგად იცოდა შალვა ნუცუბიძის მეცნიერული კვლევის უნარი და ნიჭი, იგი უბრუნდება პეტერბურგის უნივერსიტეტს, წარმატებით აბარებს ზეპირ და წერილობით სამაგისტრო გამოცდებს ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე და 1917 წელს იწყებს საცდელი ლექციების კითხვას პრივატ-დოცენტის უფლების მოსაპოვებლად.

წარმატება, რომელსაც შალვა ნუცუბიძემ მიაღწია პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისა და მუშაობის პერიოდში, ხდება საფუძველი მისი სამეცნიერო მივლინებისა საზღვარგარეთ. 1911 — 1914 წლებში შალვა ნუცუბიძე ორჯერ იყო გაგზავნილი ევროპაში, სადაც უმთავრესად მუშაობდა ლაიფციგში ცნობილი ფილოსოფოსების — ვუნდტის, ფოლკელტისა და ბარტის ხელმძღვანელობით. ლაიფციგში 1911 წელს იგი კითხულობს მოხსენებას ალეთოლოგიის პრინციპების შესახებ.

1912 — 1915 წლებში შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე სერიოზული გამოკვლევა. ერთი მათგანი — «Большая и теория науки» — დაიბეჭდა მოსკოვის ფსიქოლოგიური საზოგადოების ცნობილ ჟურნალში «Вопросы философии и психологии» (1913 წ.) I/116 და II/117); მეორე — «О природе суждения». მიღებულ იქნა დასაბეჭდად იმავე ჟურნალში და მესამე — «Очерки проблемы истины» მიღებულ იქნა დასაბეჭდად აგრეთვე ცნობილ ორგანოში — «Журнал Министерства народного просвещения».

შალვა ნუცუბიძის პირველი მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“ მიზნად ისახავს მოგვეცეს ცნობილი ჩეხი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ბერნარდ ბოლცანოს შეხედულებათა შეფასება XIX — XX სს. ფილოსოფიური აზროვნების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ შალვა ნუცუბიძის ხსენებული ნაშრომი პირველი სერიოზული გამოკვლევა იყო რუსეთში ჩეხი ხალხის დიდ მოაზროვნეზე, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მხოლოდ საბჭოთა მეცნიერებაში. აქ ბოლცანო შეფასებულია, როგორც მნიშვნელოვანი წარმომადგენელი პროგრესული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნებისა XIX ს. პირველი ნახევრის ჩეხეთში; როგორც „თვალსაჩინო მოაზროვნე-მათემატიკოსი, ლოგიკოსი და უტოპიური სოციალისტი“*.

ბოლცანო აღიარებულია ერთ-ერთ დამწყებად მათემატიკური ლოგიკისა და აქსიომატური მეთოდისა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე მათემატიკაში.

ბოლცანომ თავის სასიცოცხლო იდეალად დაისახა საერთოდ სიკეთის, როგორც უმაღლესი მორალური პრინციპის** გავრცელება მკითხველებსა და მსმენელებს შორის: ბრძოლა საზოგადოების გარდაქმნისათვის სამართლიანობის საფუძველზე. მისი სიტყვით „ბიწიერება ჩანერგვილია არა ადამიანის ბუნებაში, არამედ საზოგადოებრივ წყობაში“***.

* История философии, 6 ტომად, ტ. II, 1957, გვ. 489.

** იქვე, გვ. 490.

*** იქვე.

პრადის უნივერსიტეტში პროფესორობის დროს ბოლცანოს სდევნიდნენ მისი გამოსვლების გამო, რომლებშიც ქადაგებდა თავისუფლებისმოყვარეობასა და პროგრესულ იდეებს. ამ იდეების გამო ის განდევნეს უნივერსიტეტიდან.

მისი წიგნი „საუკეთესო სახელმწიფოს შესახებ“, რომელიც გამსკვალულია თანაგრძნობით ხალხისადმი და მისი ბედნიერების სურვილით, ხატავს უტოპიურ სურათს „იდეალური საზოგადოებისა“, რომელშიც არ არსებობს კერძო საკუთრება, ყოველი მოქალაქე შრომობს და შრომის მიხედვით ღებულობს ანაზღაურებას. საზოგადოება აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე და მის საკანონმდებლო მოღვაწეობაში მონაწილეობს ყველა სრულწლოვანი, მიუხედავად მისი სქესისა, ეროვნებისა და სხვ.

საბჭოთა მეცნიერებაში აღნიშნულია ის „შესანიშნავი მიხვედრები“, რომლებსაც ბოლცანოს „საუკეთესო სახელმწიფო“ შეიცავს; ღონისძიებანი გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების მოსპობისა; სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება; საზოგადოებრივი შრომის ამხანაგობების ჩამოყალიბება, რომლებშიც შრომის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს დახარჯული დროის პროპორციულად, გეგმიანობა ვაჭრობაში და ა. შ. *.

ბოლცანოს სიტყვით, ჩვენ უნდა განსაკუთრებულად ვცემდეთ პატივს მუშებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში.

ბოლცანოს მიერ წარმოებულმა სოციალური უსამართლობის კრიტიკამ და მომავლის სოციალური სურათის დასახვამ, ისევე როგორც მისმა მეცნიერებულმა თეორიამ, ძალიან დიდი როლი შეასრულა ჩეხური კულტურის განვითარებაში.

პროგრესული იდეების ქადაგების გამო ბოლცანო გაათავისუფლეს პრადის უნივერსიტეტიდან, სადაც მან 24 წლის ასაკში კონკურსის შედეგად კათედრის ხელმძღვანელის თანამდებობა მიიღო და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

ბოლცანოს ბრალსა სდებდნენ იმაში, რომ მისი ლექციები „თანამედროვე კრიტიკულ ფილოსოფიაზე“ იყო დაფუძნებული. ერთ-

* История философии, 6 ტომად, ტ. II, 1957, გვ. 490, 491.

ერთ დასმენაში, რომელიც საეკლესიო წრეების მესვეურთ გაუგზავნეს, ნათქვამია, რომ „მთელ საეკლესიო ისტორიაში არ ყოფილა ასეთი ერეტიკოსი, რომელიც ესოდენ ხშირად და ესოდენ არსებით პუნქტებში გადამდგარიყო მართლწმენის მოძღვრებიდან, როგორც ბოლცანო“ და რომ ბოლცანო არის „სახელმწიფოსათვის საშიში მემბოხე“*.

საყურადღებოა ბოლცანოს შეხედულებათა ერთ-ერთი საბჭოთა მეკლევრის სიტყვები: „მის მიღწევებს ლოგიკაში ბურჟუაზიული მეცნიერება დღესაც ამცირებს, აყალბებს, ხშირად სხვებს ძიაწერს, ხოლო მისმა მოწინავე საზოგადოებრივმა იდეებმა აქამდე არ მოიპოვა სათანადო შეფასება“**.

ამ სიტყვების ავტორს მხედველობიდან გამორჩა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ თანამედროვე საბჭოთა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ ჯერ კიდევ 1913 წელს მიუძღვნა ბოლცანოს მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც იგი წარმოდგენილია, როგორც უდიდესი მოაზროვნე.

ბოლცანოს ნააზრევში შალვა ნუცუბიძის ყურადღებას იპყრობდა ფილოსოფიური შეხედულებანი, რომელთა განახლებულმა ათვისებამ XIX — XX ს. დასავლეთის აზროვნებაში, შ. ნუცუბიძის სიტყვით, დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. მხოლოდ ქვეშაბრტების სწორი თეორია, დაკავშირებული თავის არსებით ნაწილებში ბოლცანოსთან, შ. ნუცუბიძის აზრით, შეიძლება გახდეს საფუძველი მეცნიერების თეორიისათვის, და რომ იგი შეძლებს ფსიქოლოგიზმთან ბრძოლაში გადალახოს დაბრკოლებანი, რომლებიც წინ ეღობება ჰუსერლის, რიკერტისა და სხვათა თეორიებსა და ინტუიტივიზმს***.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შალვა ნუცუბიძის მეცნიერულ მუშაობასა და მოღვაწეობაში სრულიად ახალი პერიოდი იწყება.

შალვა ნუცუბიძე აქტიური და ენერგიული მონაწილეა ქართველ

* Э. Кольман, Бернард Больцано, Москва, 1955, გვ. 27.

** იქვე, გვ. 28.

*** Вопросы философии и психологии. Март-апрель, 1913, გვ. 173.

მეცნიერთა იმ ჯგუფისა, რომლის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან.

„ყოფილ პეტერბურგში, — იგონებს შალვა ნუცუბიძე, — თებერვლის რევოლუციის დროს დიდ ივანეს და აკაკი შანიძეს ბარიკადებზე შევხვდი...“

— ესაა ჩვენი მაშველი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საქმეში, — თქვა ივანე ჯავახიშვილმა ბარიკადებზე ხელის გაშვებით“.

შალვა ნუცუბიძე მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეხვდა დიდ ეროვნულ საქმეს — ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. იგი მონაწილეობს ქართველი ინტელიგენციის იმ ჯგუფის მუშაობაში, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით უნივერსიტეტის გახსნა განიზრახა და ამ განზრახვის განხორციელებას პრაქტიკულად შეუდგა.

უნივერსიტეტის ორგანიზატორთა ჯგუფი შალვა ნუცუბიძეს, როგორც პეტერბურგში ჩამოყალიბებული დროებითი პარლამენტის წევრს, ავალებს ამ საკითხზე ზრუნვას.

„1917 წელს, — იგონებს შალვა ნუცუბიძე, — გ. ახვლედიანის პირით მივიღე საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის ხელმძღვანელის მოწვევა — საქართველოში წავსულიყავი და მიმეღო მონაწილეობა ქართული უნივერსიტეტის დაარსების სამზადისში, რაც მე დაუყოვნებლივ შევასრულე. ცოლ-შვილი პეტერბურგში დავტოვე და თბილისში ჩამოვედი, სადაც თავის ბინაზე შეხვედრისას დიდი ივანე ჯავახიშვილი გადამეხვია და გულში ჩამიკრა“.

თბილისში შალვა ნუცუბიძე აქტიურად მონაწილეობს ქართული უნივერსიტეტის შექმნაში, როგორც ამ უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის წევრი და მისი შემდგომი გამლა-განვითარების პერიოდში ამჟღავნებს დიდ ორგანიზატორულ უნარს. შალვა ნუცუბიძე სხვადასხვა დროს და ხშირად ერთდროულად ასრულებს უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობას: პრორექტორისა, დეკანისა, ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორისა, კათედრის გამგისა და სხვ. მას დაევალა იურიდიული ფაკულტეტის გახსნა და მისი ხელმძღვანელობა.

უნივერსიტეტის მასწავლებელთა კადრებით შევსების მიზნით უნივერსიტეტის საბჭო მას ანდობს გამოიწვიოს რუსეთის სხვადა-

სხვა ქალაქებიდან პროფესორები და გამოითხოვოს საქართველოს სსრ მთავრობისაგან ამისათვის საჭირო თანხები.

შალვა ნუცუბიძე კითხულობს მრავალ სხვადასხვა კურსს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე: ისტორიულ მატერიალიზმს, სამეცნიერო მეთოდოლოგიას, სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას, მტკიცებით სამართალს, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას და სხვ. 15 წლის მანძილზე იმყოფება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ, რომლის საფუძველზეც შემდეგ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი შეიქმნა.

ამავე დროს შალვა ნუცუბიძე დატვირთულია მრავალი საპასუხისმგებლო სამუშაოთი უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. 1923 და 1929 წლებში იგი არის ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი; მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატთან არსებულ საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებას; ამავე დროს ლექციებს კითხულობს თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, 1929 წელს მიწვეულია ესთეტიკის კურსის წასაკითხად თბილისის სამხატვრო აკადემიაში.



შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის მთავარ დარგს მაინც ფილოსოფია წარმოადგენს.

თბილისის უნივერსიტეტში მუშაობას ის იწყებს ფილოსოფიური საგნების კითხვით და სემინარებით, რომლებიც ფილოსოფიური აზროვნების კერად იქცა განახლებულ საქართველოში. „მისმა ბრწყინვალე ლექციებმა, — იგონებს ამ სემინარების მდივანი დოცენტი ფატი გოკიელი, — და მისი ხელმძღვანელობით წარმოებულმა სემინარებმა შთანერგეს ჩვენში ცოდნის დიდი წყურვილი და სიყვარული, ის მისწრაფება მეცნიერული აზროვნებისა და მუშაობისადმი, რაც გადაიქცა ცხოვრების მამოძრავებელ სტიმულად იმათთვის, ვინც ფილოსოფიური აზროვნება ძირითად სასიცოცხლო

საქმედ დაისახა და იმათთვისაც, ვინც შემდეგ სულიერი ინტერესი მეცნიერების სხვა სფეროებზე გადაიტანა“.

შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიური მუშაობა თბილისის უნივერსიტეტში შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით წარმოადგენდა აღორძინებას ფილოსოფიური ტრადიციებისა, რომლებსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს ჩვენს ხალხში.

ამ სემინარებში ახალგაზრდობა იძენდა ფილოსოფიური აზროვნების ჩვევებს, რთულ პრობლემატიკაში გარკვევის უნარს და აზროვნების დამოუკიდებლობას. სემინარის მონაწილეთა შორის მრავალმა შეიტანა შემდეგში მნიშვნელოვანი წვლილი ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში; კერძოდ, პროფესორების — მ. გოგიბერიძის, კ. მეგრელიძის, ს. წერეთლის, კ. ბაქრაძის, ა. ბოჭორიშვილის სახელები ფართოდაა ცნობილი როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის გარეთაც.

შალვა ნუცუბიძეს ამავე დროს უხდება ზრუნვა ქართულ სახელმძღვანელოთა დაწერაზეც ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში. დროის მცირე მანძილზე იგი აქვეყნებს სახელმძღვანელოებს ლოგიკაში (სასკოლო და საუნივერსიტეტო კურსები); ფილოსოფიის შესავალში და, ცოტა მოგვიანებით, ესთეტიკაში. ამ სახელმძღვანელოებზე იზრდება ახალგაზრდათა მრავალი თაობა. ერთდროულად ავტორს უხდება დიდი მუშაობა სრულიად დაუმუშავებელი ახალი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისათვის.

შალვა ნუცუბიძე აგრძელებს მუშაობას საკუთარი ფილოსოფიური ნააზრების შემდგომი გაღრმავების მიმართულებით, რაც მან დაიწყო 1913 წელს ბოლცანოს ფილოსოფიის განხილვით.

1922 წელს იგი აქვეყნებს „აღეთოლოგიის საფუძვლების“ პირველ წიგნს, სადაც ჭეშმარიტების პრობლემაა განხილული.

საყურადღებოა ამ ნაშრომის წინასიტყვაობის შემდეგი ადგილი: „დასავლეთისათვის ინტელექტუალ დამონებას ბოლო უნდა მოელოს. რა თქმა უნდა ეს შესაძლო გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგნიდან დაძვლევთ დასავლურ აზროვნებას. უნდა დამტკიცდეს, რომ საამისოდ არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტიური საბუთიც არსებობს“ (გვ. 1).

შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებში შალვა ნუცუბიძის მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ხანგრძლივი მოღვაწეობის ფართოდ მო-

ფიქრებული გეგმა დასასული. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში მან დაამტკიცა, რომ ქართულ სინამდვილეში გაშლილ ფილოსოფიურ მუშაობას, რომლის მთავარი წარმომადგენელი ამ გეგმის ავტორი იყო, შეუძლია დასავლეთის აზროვნების დონეზე დადგეს, უახლესი ფილოსოფიური თეორიები კრიტიკულად შეაფასოს და ფილოსოფიური აზროვნების თავისებური გზები დასასოს. მეორე პერიოდში იგი წამოაყენებს აღმოსავლური რენესანსის თეორიას, რომელიც დასავლეთის კულტურის აღმოსავლური ძირების ძიებისაკენ არის მიმართული და ე. წ. „ევროპოცენტრიზმის“ კრიტიკას გულისხმობს.

1925 წელს შალვა ნუცუბიძე უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დადგენილებით, ევროპაში მიემგზავრება სამეცნიერო მიზნით. იგი მუშაობს ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც ეცნობა ფილოსოფიურ მუშაობას სემინარებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და სემინარების სხდომებზე დასწრებით იგი ეცნობა მუშაობის ამ სახეობას და, როგორც მისი ანგარიშიდან ჩანს, მიდის დასკვნამდე, რომ არც მუშაობის მასშტაბით და არც მისი ხარისხით ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური სემინარები „ჩვენთვის საოცნებოს არაფერს შეიცავს“.

მივლინებაში ყოფნის დროს შ. ნუცუბიძე ფიქრობს „აღეთოლოგიის საფუძვლები“ გერმანულ ენაზე თარგმნოს და გამოსცეს. მაგრამ შემდეგ იცვლის განზრახვას და წერს ახალ გამოკვლევას სათაურით „Wahrheit und Erkenntnisstruktur“ („ვეშმარტება და შემეცნების სტრუქტურა“). ეს წიგნი, რომელიც ავტორის სიტყვით, მიზნად ისახავს „ახალი თვალსაზრისის“, კერძოდ „აღეთოლოგიური რეალიზმის“ დასაბუთებას, დაიბეჭდა 1926 წელს ლიბერტისა* და ბუხენაუს რეცენზიით.

1927 წელს, „Wahrheit und Erkenntnisstruktur“-ის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ შალვა ნუცუბიძე ადგენს ხსენებულ

* არტურ ლიბერტი (1878 — 1946) ცნობილი ნეოკანტიანელი, 1910 — 1933 წწ. იყო კანტის საზოგადოების თავმჯდომარე; 1928 — 1933 წწ. — პროფესორი ბერლინში; 1934—1939 წწ. — პროფესორი ბელგრადში. სხვა საკითხთა შორის ამუშავებდა ღირებულების, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის საკითხებს.

ნაშრომს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. რეცენზენტების (და შემდეგ ოპონენტების) პროფ. დ. უზნაძისა და დოც. ს. დანელიას წინასწარი მოხსენების მოსმენის შემდეგ ინიშნება საჯარო პაექრობა, რომელიც შედგა იმავე წლის 17 აპრილს. საჯარო პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს, გარდა ოპონენტებისა, ლექტ. მ. გოგიბერიძემ და დოც. კ. ბაქრაძემ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სხდომა ერთხმად ანიჭებს შ. ნუცუბიძეს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს*.

საქმეში შენახულია სადისერტაციო შრომის თეზისები („ღებულებანი“):

„1. ფილოსოფიის მიზანია მონახოს ისეთი ელემენტი ცოდნათა სისტემაში, სადაც ყოველი, ადამიანის ბუნებისაგან დამოკიდებული, განსაზღვრული მომენტები, მნიშვნელობას მოკლებული იქნება.

2. ადამიანის ბუნებასთან დაკავშირებული ელემენტები დაიყოფა ორ მთავარ ჯგუფად: სპეციალ ადამიანურად და სპეციფიურ ადამიანურად. მათი ელემენტები იპოვნება მეტად თუ ნაკლებად ყველა ფილოსოფიურ სისტემაში.

3. ანთროპოლოგისტური ელემენტი ხვდება ტრანსცენდენტალიზმში, ფენომენოლოგიზმში, ღირებულებათა სხვადასხვა თეორიებში, რეალისტურ ლოგიკაში და სხვ.

4. ანთროპოლოგიზმის დასაძლევად არსებულ ფილოსოფიურ სისტემებს არ მოეპოვებათ პრინციპული პოზიცია. წინალოგიკური-სადმი მისასვლელი გზა მათ მიერ შეცდომითაა გაგებული.

5. წინააღმდეგობა ანთროპოლოგიზმის ერთი მთავარი ფორმა-თაგანია. მისი ერთი ელემენტია შეცდომა, რომელსაც დიდი ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების პრობლემის გარკვევისათვის.

* სხდომას თავმჯდომარეობდა კ. სულაქველიძე, მდივანობდა სიმონ ყაუხჩი-შვილი. ამათ გარდა სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები: დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, ივანე ჭავჭავაძე, მიხეილ პოლიევქტოვი, გრიგოლ ნათაძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ანდრია რაზმაძე, გიორგი ჭავჭავაძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ლეონ მელიქსედ-ბეგი, ანდრია ბენაშვილი, თამარ ლომო-ური, მიხეილ ზანდუკელი, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჭანაშვილი, მოსე გოგიბერიძე, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ჭანელიძე, ვარლამ თოფურია.

6. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „ქეშმარიტებას თავისთავად“. მის გამოყვანას ბევრი ცდილობდნენ, მაგრამ ისეთებმაც კი, ვინც მასთან ძალიან ახლო იდგა (დეკარტი, ბოლცანო, ლასკი), ვერ მოხერხეს წინააღმდეგობის დასაძლევნი გზის მონახვა. მათი შეხედულებების კრიტიკამ უნდა მოგვეცეს საშუალება ნამდვილად „თავისთავად“ ღირებულ მომენტისაკენ.

7. ალეთოლოგიური ძირითადი მომენტის ანალიზმა უნდა მოგვეცეს გზა „ქეშმარიტების თავისთავად“ ბუნების გასაგებად. ოთხი მომენტი, რომელიც აქ ირკვევა, სწავეტს საკითხს ფილოსოფიის ისეთ ძირითად მომენტებთან დამოკიდებულების შესახებ, როგორცაა ინტუიცია, თეორია, არსის ჰერეტიკა და მთლიანობა, სიმარტივე, არსი, ამგვარად არსი. არსებულზედ მეტი და სხვ.

8. წინააღმდეგობის მიღმა მყოფი „ქეშმარიტება თავისთავად“ არკვევს ალეთოლოგიური დიალექტიკის ბუნებას. რაც არსებობდა განსხვავდება ლოგიკური დიალექტიკისაგან.

9. ქეშმარიტების სამმა სახეობამ უნდა ნათელჰყოს „ქეშმარიტების თავისთავად“ და შემეცნების აგებულების კავშირის რაობა. შინაარსეულის და შინაარსთან გაცლილის მომენტი უდევს საფუძვლად აღნიშნულ განსხვავებებს.

10. ვერც ონტოლოგიური თეორია არისტოტელესი, ვერც ტრანსცენდენტალი თეორია ქეშმარიტებისა, ვერც ფენომენოლოგია, ვერც ჩვეულებრივი რეალიზმი და ვერც რელაციონალი თეორია ვერ სწავეტს საკითხს ქეშმარიტების და შემეცნების აგებულების შესახებ. აქედან იშლება გზა ალეთოლოგიური რეალიზმისაკენ.

11. უნდა განსხვავებულ იქნეს ამოცანა, არსება და აგებულება შემეცნებისა. შემეცნებას ორი განზომილება აქვს. შემეცნებრივ შემეცნების ორმხრივობის შესახებ არსებული თეორიები.

12. შემეცნების ორ განზომილებიან აგებულებასთან დაკავშირებულია შესაძლებლობა აზროვნების პრინციპების ახალი დალაგების და ახალი მეთოდოლოგიის პრობლემისა. ძირითადი ფილოსოფიური მეთოდი არის რედუქცია.

ამ თეზისების შინაარსი შემდეგში მდგომარეობს.

მიზანი, რომელიც ფილოსოფიის წინაშე დგას და რომელიც მდგომარეობს შემეცნების განთავისუფლებაში ადამიანურისაგან,

ახალი არაა და მისი განხორციელების დაძლევის არაერთი ცდა არსებობს (და არსებობდა, როდესაც შ. ნუცუბიძე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე) დასავლეთის ფილოსოფიაში. განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა ამ მიმართულებით XX ს. დასაწყისში. ეს ცდები მიმართულია ფსიქოლოგიზმის, ანთროპოლოგიზმის დაძლევისაკენ. მაგრამ შ. ნუცუბიძის ცდა განსხვავდება ყველა არსებული თეორიისაგან, მას აქვს დასაბუთებული პრეტენზია ახალი გზ-ს ძიებისა და ფილოსოფიის წინაშე წამოჭრილი პრობლემის თავისებური გადაწყვეტისა.

შ. ნუცუბიძე ამოდის იმ დებულებიდან, რომ დასავლეთის ფილოსოფიაში წარმოებულმა უახლესმა კვლევა-ძიებამ ამ მიმართულებით ვერ გაამართლა თავი. და როგორც ავტორი წერდა ჯერ კიდევ თავის პირველ გამოკვლევაში (ბოლცანოს შესახებ), დარჩა დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა კერძოდ ჰუსერლისა, რიკერტისა და სხვებისათვის. რომ არც თანამედროვე ინტუიტივიზმი შეიძლება გამოდგეს ფსიქოლოგიზმის დასაძლევად* ამგვარად, როგორც მე-3 თეზისშია აღნიშნული, ანთროპოლოგისტური ელემენტი გვხვდება ტრანსცენდენტალიზმში (კანტის ფილოსოფიაში) და რჩება ფენომენოლოგიზმში (ჰუსერლი), ლირებულებათა სხვადასხვა თეორიებში (რიკერტი და სხვები) და რეალისტურ ლოგიკაში.

ამასთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძე ასხვავებს ორ ცნებას სპეციალურ-ადამიანურსა და სპეციფიკურ ადამიანურისა. ფსიქოლოგიზმის დაძლევა და ახალი სისტემის დასაბუთება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დაძლეულ იქნა არა მხოლოდ სპეციალურ-ადამიანური, — ეს გასაგებია თავისთავად, რადგან სპეციალურ-ადამიანური არის შეცდომა. — არამედ სპეციფიკურ-ადამიანურიც, ე. ი. სწორედ ის, რაც ადამიანის ცნებიდან, გვარიდან გამომდინარეობს და მის არსებას შეადგენს. ფილოსოფიის ამოცანა, საბოლოოდ, შედგება შემეცნების განთავისუფლებაში სპეციფიკურ-ადამიანურისაგან, რაც ავტორის სიტყვით (და ამას თავისი დასაბუთება მოეპოვება შ. ნუცუბიძესთან) სრულიად არ ნიშნავს შემეცნებაში ზეადამიანური გზების ძიებას. ამგვარად ისახება შ. ნუცუბიძის წინაშე

* Вопросы философии и психологии, II (117), 1913, гл. 173.



7. ნატოშვილი



შ. ნაცვლიძე

ფილოსოფიაში ახალი გზების ძიება, რაც გულისხმობს არკველ ყოველისა ფილოსოფიური აზროვნების, ფილოსოფოსობის ამოსავალი პუნქტის, საყრდენის დადგენას.

ადამიანური (სპეციფიკურ-ადამიანური) ლოგიკურის სფეროა. მსჯელობის სფეროა, რომელიც პოეზიისა და უარყოფის მომენტებს, შეიცავს. ადამიანური წინააღმდეგობის სფეროს ეკუთვნის, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც სწორი, აგრეთვე მცდარი. „წინააღმდეგობა ანთროპოლოგიზმის ერთი მოკვარი ფორმატაგანა“ (თ. 5). მაგრამ ამ წინააღმდეგობაში დიდი ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს მის ერთ-ერთ ელემენტს, შეცდომას, რომლის ანალიზმა ავტორი „ქეშმარიტების პრობლემის არკვევად“ უნდა მიიყვანოს.

ამ პრობლემის გადაწყვეტას შ. ნუცუბიძე შეცდომის, მცდარი მსჯელობის ანალიზით იწყებს. მსჯელობა მცდარია თავის საგანთან. თავის შინაარსთან მიმართებაში. მცდარია იმიტომ, რომ მას გარკვეული მიმართება, რელაცია აქვს საგანთან. მცდარია როგორც ლოგიკურის სფეროში მოქცეული, როგორც ლოგიკურის ფენომენი. მაგრამ მცდარი მსჯელობა ქეშმარიტია. როგორც ასეთი. ქეშმარიტია, როგორც ფაქტი, როგორც სუბიექტურთან და საერთოდ ლოგიკურთან რაიმე კავშირის გარეშე მყოფი, ქეშმარიტია თავის თავად და ლოგიკურთან საერთოდ რაიმე კავშირის გარეშე არსებულად.

ძიება ფილოსოფიის ამოსავალი, საყრდენი პუნქტისა წარმართება შ. ნუცუბიძის შრომებში „ქეშმარიტებისაკენ თავისთავად“, რომელიც ეკუთვნის წინალოგიკურსა და წინააღმდეგობებისაკენ განთავისუფლებულ, წინააღმდეგობის კანონს გარეშე სფეროს. წინააღმდეგობა მსჯელობაში შეაქვს მსჯელობის საგანს, მის შინაარსს. ეს წინააღმდეგობა განსაზღვრულია იმით, რომ მსჯელობას აქვს მიმართება, რელაცია საგანთან. ამიტომ „ქეშმარიტება თავისთავად“ უნდა იყოს შ. ნუცუბიძის მიხედვით უსაგნო და შინაარსის არ მქონე, სწორედ ქეშმარიტება თავისთავად, როგორც ქეშმარიტება ირელაციური, რელაციის გარეშე.

ასეთ ქეშმარიტებას წარმოადგენს, შ. ნუცუბიძის მიხედვით, მსჯელობა, მაგრამ არა როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი, არამედ როგორც შინაარსიდან „გაცლილი“ ფაქტი. მსჯელობის „ამგვარად ყოფნა“ არის ქეშმარიტება თავისთავად“. როგორც ფა-

ქტი, როგორც „ამგვარად მყოფი“ ყოველგვარი, მათ შორის ლოგიკურად მცდარი, მსჯელობა ჰქმნარიტა.

როგორც შ. ნუცუბიძე წერს, მრავალი მოაზროვნე ცდილობდა მიეგნო ამ სფეროსათვის. „ჰქმნარიტებისათვის თავისთავად“. მაგრამ ისეთებმაც კი, ვინც მასთან ძალიან ახლო იდგა (დუეკარტე, ბოლცანო, ლასკი), ვერ მოახერხეს წინააღმდეგობის დასაძლევნი ვზის მონახეა“ (თ. 6.) სსენებული ავტორების შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს, შ. ნუცუბიძის სიტყვით, საშუალებას გაირკვეს ნამდვილად ღირებული მოქმენტი „ჰქმნარიტებისა თავისთავად“.

ამის შემდეგ გასაგებია შ. ნუცუბიძის მეცნიერული ინტერესი ბოლცანოსადმი, რომელსაც მან თავისი პირველი სერიოზული გამოკვლევა მიუძღვნა. ბოლცანომ პირველმა მიაკვლია ჰქმნარიტებას თავის თავად, მაგრამ ბოლცანოსთან, გარდა იმისა, რომ ეს სფერო ბოლომდე არაა განთავისუფლებული მსჯელობის აქტისაგან და ამიტომ ვერ სცილდება წინააღმდეგობის სფეროს, იგი არ შეიცავს დადებით ნ-შანს. თავისთავადობა ჰქმნარიტებასთან მიმართებაში, უნდა ნიშნავდეს, შ. ნუცუბიძის მიხედვით, დამოუკიდებლობას არა მხოლოდ სუბიექტისაგან, არამედ ყოველგვარი მიმართებისაგან.

შ. ნუცუბიძეს არ მიაჩნია საკმარისად არც ემილ ლასკის შეხედულება, რომელიც პირველად შეესო წინააღმდეგობათა ზევით მდგომ სფეროს. არც მსჯელობის ანალიზი და არც კატეგორიათა თეორია, რომელშიც ლასკი ხედავდა საშუალებას წინააღმდეგობათა გარეშე სფეროს წვდომისათვის, არ აღწევს, შ. ნუცუბიძის აზრით, მიზანს. რამდენადაც ლასკისათვის საერთოდ წარმოუდგენელია ჰქმნარიტება ლოგიკურის გარეშე, ამდენად ლასკი რჩება საბოლოოდ წინააღმდეგობათა ფარგლებში.

ნამდვილ გზას „ჰქმნარიტებისაკენ თავისთავად“ იძლევა შ. ნუცუბიძის მიხედვით „ალეთოლოგიური რეალიზმი“, ე. ი. მისი ორიგინალური ნააზრევი, რომელიც ამ სახელწოდებით არის ცნობილი. ამიტომ საჭიროა ალეთოლოგიური რეალიზმის „ძირითადი მომენტის ანალიზი“ (თ. 7), რომელმაც უნდა გაარკვიოს ბუნება „ჰქმნარიტებისა თავისთავად“. „ოთხი მომენტი“, რომლებზედაც ლაპარაკია თეზისებში (თ. 7), ნიშნავს იმას, რომ ჰქმნარიტება თავისთავად

ვად წინააღმდეგობათა სფეროს მიღმა მდებარეა და ლოგიკურ კანონებს არ ემორჩილება; მას არ გააჩნია არავითარი შინაარსი და არის ამგვარად არსებობა („ამგვარად არსი“); ის არის ირელაციონალური, უსაგნო (არაფერი უპირისპირდება), რადგან უშინაარსოა; და ქეშმარიტება თავისთავად განხორციელებულია (წინააღმდეგ მსჯელობისა, რომელიც განხორციელებისაკენ მიისწრაფვის).

„ქეშმარიტება თავისთავად“ შეუძლებელია ლოგიკურის ფორმით, მსჯელობით იქნეს გამოთქმული. ჩვენ მას ვწვდებით „თეორიით“, „ქვრეტიტ“ (ხედვით), როგორც მთლიანობას, მაგრამ არა ქეშმარიტებათა კომპლექსს. არამედ კომპლექსურ ქეშმარიტებას, საიდანაც არაფრის გამოყვანა არ შეიძლება.

მაგრამ ეს გზა არ წარმოადგენს, როგორც შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, ინტუიციას, რადგან ამ უკანასკნელის პირობა გულისხმობს სუბიექტსა და საგანს და კვლავ წინააღმდეგობის სფეროში რჩება.

შალვა ნუცუბიძე ასხეავებს ცნებებს „არსი“, „ამგვარად არსი“ და „არსებულზედ მეტი“.

არსი არ არის ქეშმარიტება თავისთავად, რადგან ქეშმარიტება არსის „ამგვარად არსში“, ამგვარად არსებობაში მდგომარეობს. ხოლო „ამგვარად არსებული“ არსზე მეტია, ის არის არსებულზე მეტი, და ეს „მეტობაა“, რომ არსს გარკვეულობას აძლევს. არსის ორი მომენტი „ამგვარად არსი“ და „არსებულზედ მეტი“, რომლებიც გადადიან ერთიმეორეში, არსის ბუნების დიალექტიკური წინააღმდეგობაა, რომელიც შეუძლებელია დაძლეულ იქნეს ლოგიკურის სფეროში და საჭიროდ ხდის მის ახსნისა და გაგების ახალი, სახელდობრ, ალეთოლოგიური გზების დასახვას. „წინააღმდეგობის მიღმა მყოფი „ქეშმარიტება თავისთავად“ არკვევს ალეთოლოგიური დიალექტიკის ბუნებას, რაც არსებითად განსხვავდება ლოგიკური დიალექტიკისაგან“ (თ. 8).

როგორია შემეცნების სტრუქტურის („აგებულების“) კავშირის რაობა „ქეშმარიტებასთან თავისთავად“ ეს ირკვევა ქეშმარიტების სამი სახეობის მიხედვით, რომელთა ანალიზსაც ავტორი იძლევა. განსხვავებას ამ სახეობათა შორის საფუძვლად უდევს „შინაარსეულის და შინაარსთან გაცლილის მომენტი“ (თ. 9): საჭიროა გაირკვეს მიმართება „ქეშმარიტებისა თავისთავად“, როგორც შინაარსი-

საგან „გაკლილი“ ქეშმარიტებისა. — ქეშმარიტებასთან, რომელთანაც ყოველ ცალკეულ მეცნეურებას აქვს საქმე.

რამდენადაც, როგორც ითქვა, „ქეშმარიტებისაგან თავისთავად“ არაფრის გამოყვანა არ შეიძლება, ამდენად შ. ნუცუბიძისათვის გამორიცხულია ფილოსოფიური აზროვნების ჩვეულებრივი გზი ამოსავალი, საყრდენი პუნქტის დადგენისა და აქედან სისტემის გამოყვანისა. მაგრამ შესაძლებელია და აუცილებელი მეორე გზა: გზა ლოგიკური ქეშმარიტების დაყვანისა წინალოგიკურ, თავისთავად ქეშმარიტებამდე, რომელსაც ავტორი ალეთოლოგიურ რედუქციას უწოდებს.

ქეშმარიტების „სამ სახეობაში“ ავტორი გულისხმობს „ჩვენ ქეშმარიტებას“, „ქეშმარიტებას ჩვენთვის“, და „ქეშმარიტებას თავისთავად“. პირველი სახეობის ქეშმარიტების მიზანია გახდეს „ქეშმარიტება ჩვენთვის“. ხოლო ეს უკანასკნელი მიემართება იქეთ, რომ დაემთხვეს „ქეშმარიტებას თავისთავად“. მაგრამ ეს ორი სახეობა ქეშმარიტებისა არასოდეს არ გახდება იგივეობრივი და არასოდეს არ მოხდება მათი სრული დაძმხვევა. „ჩვენთვის ქეშმარიტების“ მარადიული სწრაფვა „ქეშმარიტებისაკენ თავისთავად“ და მათი იგივეობის განუხორციელებლობა არის შემეცნების წინსვლის მარადიული გზა.

შემეცნების ამოცანისა, არსებისა და სტრუქტურის გარკვევას წინ უსწრებს რიგი მნიშვნელოვანი თეორიების კრიტიკული განხილვა, რომელიც (თ. 10) მთავრდება განზოგადებული დასკვნით: ვერც არისტოტელეს ონტოლოგიური თეორია, ვერც კანტის (ტრანსცენდენტალი) თეორია, ვერც (პუსერლის) ფენომენოლოგია, ვერც ჩვეულებრივი რეალიზმი და ვერც რელაციონალი თეორია ვერ წყვეტენ ქეშმარიტებისა და შემეცნების სტრუქტურის საკითხს. ეს დასკვნა „შლის გზას“ ალეთოლოგიური რეალიზმისაკენ.

როგორც შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, განსხვავებულ უნდა იქნეს შემეცნების ამოცანა, მისი არსება და მისი სტრუქტურა (თ. 11).

შემეცნების ამოცანა საგნის შეცნობაში მდგომარეობს. ამ ამოცანის გადაწყვეტა გნოსეოლოგიას ევალება.

შემეცნების არსება იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნება ინტენციია, რომელიც საგნის გარეშე განიხილება და თვითონაა, როგორც ასეთა, შესწავლის საგანი. მისი შესწავლა ფენომენოლოგიის ამო-

ცანა. მაგრამ შემეცნებას აქვს თავისებურება, რომელიც მის სტრუქტურაში იჩენს თავს და რჩება როგორც გნოსეოლოგიის, ისევე ფენომენოლოგიის ფარგლებს გარეშე. შემეცნების ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას ორი განზომილება აქვს; მას ორდომენზიალობა ახასიათებს და სწორედ ორდომენზიალობა, რომელიც შემეცნების სტრუქტურაში ჩანს, არის, ზოგადად შემეცნების სტრუქტურასთან ერთად, ალეთოლოგიის საგანი (ეს არაა შემეცნების ორმხრივობა, რომლის შესახებ თეორიები შ. ნუცუბიძეს მცდარ თეორიებად მიაჩნია).

შემეცნების ორგანზომილებობა იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნება ერთსა და იმავე დროს მიმართულია წინ და უკან, იგი პროგრესულიცაა და რეგრესულიც. მისი ყოველი ნაბიჯი წინაა გადადგმული, მაგრამ ამავე დროს უკანაა დაბრუნებული. ქეშმარიტება თავისთავად არის წანამძღვარი (ამოსავალი) და ამავე დროს შემეცნების მიზანი.

შემეცნების ასეთმა გაგებამ, მისი ორდომენზიალობის დადგენამ, შემეცნების ორგანზომილებიანმა სტრუქტურამ დააყენა საკითხი ლოგიკის, კერძოდ მისი საფუძვლების—აზროვნების ძირითადი კანონების, გადამუშავების შესახებ; საკითხი „აზროვნების პრინციპების ახალი დალაგებისა და ახალი მეთოდოლოგიის“ (თ. 12) — რედუქციის, როგორც ძირითადი ფილოსოფიური მეთოდის, გარკვევისა.

ეს აზროვნების პრინციპები არაა, შ. ნუცუბიძის მიხედვით, არც მხოლოდ არსის და არც მხოლოდ აზროვნების პრინციპები, ე. ი. არაა არც ონტოლოგიური და არც ლოგიკური კანონები. ისინი ეკუთვნიან შუალედ სფეროს, რომელსაც ავტორი ალეთოლოგიურ სფეროს უწოდებს.

ამგვარად, შ. ნუცუბიძის ნააზრევში იგივეობის კანონი გადამუშავდება ამგვარად ყოფნის პრინციპად. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი იღებს სხვაგვარად ყოფნის შეუძლებლობის პრინციპის სახეს. ხოლო გამორიცხული მესამის კანონი წარმოდგენილია, როგორც გარკვეულობის პრინციპი.

შემეცნების სტრუქტურის მიხედვით, რომელიც, როგორც ითქვა, ორგანზომილებიანია, შემეცნების მეთოდოლოგიაც ორად იყოფა: გამომდინარეობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინდუქციას

და დედუქციას, და დაყვანის, რედუქციის მეთოდი. რედუქცია ფილოსოფიის ძირითადი მეთოდია, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ „ქეშმარიტება ჩვენთვის“ დაყვანილ იქნეს „ქეშმარიტებაზე თავისთავად“.

შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ მისი ალეთოლოგიური რედუქცია განსხვავდება ზიგვარტის რედუქციული მეთოდისაგან, რომელიც ლოგიკურად არის გაგებული და განსხვავდება აგრეთვე ჰუსერლის რედუქციისაგან, რომელიც აიდეტური და ფენომენოლოგიურია.

შალვა ნუცუბიძის სადოქტორო ნაშრომის გამოქვეყნებიდან ხუთი წლის შემდეგ დაიბეჭდა მისი მეორე ნაშრომი გერმანულ ენაზე „Philosophie und Weisheit“ (ბერლინი, 1931 წ.). თუ პირველი ნაშრომი („Wahrheit und Erkenntnisstruktur“) წარმოადგენს „პირველ შესავალს ალეთოლოგიურ რეალიზმში“, მეორე ნაშრომი მოფიქრებულია, როგორც „სპეციალური შესავალი ალეთოლოგიაში“. ეს შრომა ალეთოლოგიის შემდგომ დამუშავებას და თვით ალეთოლოგიური სფეროს მოხაზვას წარმოადგენს უფრო დეტალურად. ალეთოლოგიურ სფეროში ავტორი გულისხმობს შუალედ სფეროს არსსა და აზროვნებას შორის და აღნიშნავს, რომ ამ სფეროს გაუთვალისწინებლობა არის მიზეზი იმისა, რომ შემეცნების თეორიის საკითხების ჩვეულებრივი კვლევა მარცხით მთავრდება. ამ სფეროს მეშვეობით ხდება „ქეშმარიტების თავისთავად“ შეთანხმება „ქეშმარიტებასთან ჩვენთვის“.

შალვა ნუცუბიძის ოთხი ნაშრომი: „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“ (მოსკოვი, 1913 წ.), „ალეთოლოგიის საფუძვლები (თბილისი, 1922 წ.), „ქეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (ბერლინი, 1926 წ.) და „ფილოსოფია და სიბრძნე“ (ბერლინი, 1931 წ.) ეკუთვნის მისი შემოქმედების პირველ პერიოდს და გაერთიანებულია ერთი მიზნით. ეს მიზანი მიმართულია ახალი, დამოუკიდებელი გზების ძიებისაკენ ფილოსოფიაში და გარკვეული სისტემის აგებისაკენ, რომელმაც უნდა გადალახოს დასავლეთის ფილოსოფიური აზროვნების წინაშე წამოჭრილი დაბრკოლებანი.

ცხადია, რომ შალვა ნუცუბიძის მიერ აგებული და სხენებულ შრომებში წარმოდგენილი ნააზრევი არ არის დაფუძნებული მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე. მაგრამ მათ, შეიძლება ითქვას უკვე

ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და შეფასებაც ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს. ამ მხრივ კი უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძის ნაშრომების პრობლემატიკა უაღრესად აქტუალურია თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიაში, ხოლო მათი ნუცუბიძისეული გადაწყვეტა იმდენად საყურადღებო და გონებამახვილურია, რომ ამ ნაშრომებს, როგორც ეს დასავლეთის მეცნიერთა რეცენზიებში იყო აღნიშნული, გვერდს ვერავინ აუვლის. შალვა ნუცუბიძის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულმა შრომებმა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება მოიპოვა დასავლეთის ფილოსოფიურ ჟურნალებში*.

რეცენზიების ავტორთა პოზიცია შალვა ნუცუბიძის შრომის მიმართ სხვადასხვაგვარია: ერთ-ერთი რეცენზია შ. ნუცუბიძის შრომის — „ფილოსოფია და ჰეგელმართობა“ მხოლოდ შინაარსის გადმოცემას წარმოადგენს, შეფასების გარეშე; მეორე რეცენზია (გამოქვეყნებულია ჟურნალში „Scholastik“, ავტორი de Vr[ies]) უკიდურესად კრიტიკულია: ერთი რეცენზენტი ძირითადად ეხება მცდარი მსჯელობის საკითხს და არ ეთანხმება ავტორს დებულებაში, რომ თვით მცდარი მსჯელობა ჰეგელმართობა თავისთავად, როგორც ფაქტობრივი მსჯელობა. რეცენზიის ავტორის მიხედვით მსჯელობა, როგორც ფაქტი, არის მხოლოდ წმინდა ხდომილება, რომელიც არ შეიძლება იყოს არც ჰეგელმართობა, არც მცდარი. ჰეგელმართობა ან მცდარი შეიძლება იყოს მხოლოდ მსჯელობა თვით ამ მსჯელობაზე, როგორც ფაქტზე.

ერთი რეცენზია ეკუთვნის უახლეს ფილოსოფიაში კარგად ცნობილ ბრუნო ბაუხსს, რომელიც არა ერთხელ აღნიშნავს შ. ნუცუბიძის „აზრის მთელ სიმახვილეს“.

ერთ-ერთ ჟურნალში „თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის გამოკვლევა („ჰეგელმართობა და შემეცნების სტრუქტურა“)“ დახასიათებულია როგორც „ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე“.

განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს შ. ნუცუბიძის გერ-

* მოსკოვის, ლენინგრადისა და ქ. იენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წიგნსაცავებში ჩვენ მივაჯელიეთ 12 რეცენზიას შ. ნუცუბიძის ამ შრომების შესახებ. ეს რიცხვი არაა სრული. აღნიშნული 12 რეცენზიიდან შესაძლებლობა გვექონდა გაცნობოდით მხოლოდ რეას. რეცენზიები გამოქვეყნებულია გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში.

მანუღ ენაზე გამოქვეყნებულ ორივე ნაშრომს კურტ გასენი ჟურნალში „Grundwissenschaft“. რეცენზენტის აზრით, შ. ნუცუბიძის შრომა „ქეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ ეხება საკითხთა ისეთ წრეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანული ფილოსოფიური აზრის შემდგომი განვითარებისათვის. მისი სიტყვით, ავტორი საფუძვლიანად ეკამათება არისტოტელეს, ლაიბნიცს, კანტს და უახლეს გერმანულ მკვლევრებს — გაიზერს, ჰარტმანს, ჰერბერტსა და ჰუსერლს*.

გასენი მალალ შეფასებას აძლევს იმავე ჟურნალის XI წიგნში გამოქვეყნებულ შ. ნუცუბიძის მეორე ნაშრომს, რომელსაც რეცენზენტის სიტყვებით, გვერდს ვერ აუვლის შემეცნების თეორიის ვერც ერთი თანამედროვე მკვლევარი.

ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნებული ერთ-ერთი რეცენზიის ავტორის აზრით, შ. ნუცუბიძის თეორია ფილოსოფიას მიიჩნევს მოძრაობად სრულყოფისაკენ. იგი უარყოფს გერმანული იდეალიზმის სტატიკურობასა და დოგმატურ სტრუქტურას. ფილოსოფია უნდა ისწრაფვოდეს სრულყოფისა და სიბრძნისაკენ. რეცენზენტის საბოლოო დასკვნით, ნუცუბიძემ გაწმინდა ფილოსოფია სპეკულატიური და ინტუიციური ნაწილებისაგან და დაგვანახა გზა სიბრძნისაკენ. ამით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ფილოსოფიის უაღრესად დახლართული პრობლემების მარტივი გადაწყვეტის მიმართულებით**.

შ. ნუცუბიძის ამ შრომათა შორის ერთ-ერთმა (კერძოდ, გამოკვლევამ „ქეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“) ყველაზე ადრე ქართული მეცნიერული აზრის ყურადღება მიიპყრო და პირველი მისი შეფასება თბილისში გამოქვეყნდა. მხედველობაში გვაქვს შალვა ნუცუბიძის სემინარების წევრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გამოშვების მეცნიერის პროფ. კ. ბაქრაძის წერილი „ქეშმარიტების პრობლემა და შემეცნების სტრუქტურა“***.

ეს წერილი წარმოადგენს ხსენებული შრომის სერიოზულსა და

* Grundwissenschaft, VII, 1927, გვ. 223—224.

**Barth Landheer; იხ. International Journal of Ethics, vol. 42, 1932, გვ. 394-395.

*** „მნათობი“, 1928, გვ. 219—239.

საფუძვლიან განხილვას, მისი ძირითადი დებულებების ვრცელ შეფასებას. იგი ყურადღებას იპყრობს როგორც ფილოსოფიური აზროვნების მაღალი ნიმუში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ წერილში საკითხები ბევრად უფრო ფართოდაა გაშუქებული, ვიდრე ზემოთ განხილულ რეცენზიებში, ხოლო შ. ნუცუბიძის შრომის შეფასება უფრო მრავალმხრივია და საფუძვლიანი *.

• • •

შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის მეორე მნიშვნელოვანი მხარე დაკავშირებულია ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის მეცნიერულ დამუშავებასთან და არა მარტო ფილოსოფიური აზროვნებისა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი ფართოდ ეხება ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებას, განსაკუთრებით მის იდეოლოგიურ საფუძვლებს.

ეს დარგი შ. ნუცუბიძის გამოკვლევების მეოხებით დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. შალვა ნუცუბიძე არის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის, როგორც მეცნიერების ფუძემდებელი.

სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი, რა მცირე მემკვიდრეობა მიიღო ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესწავლის მხრივ რევოლუციამდელი მეცნიერებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციამდე ეს დარგი არ იმსახურებდა თითქმის არაერთარ ყურადღებას.

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ეხებოდა ქართული ფილოსოფიური აზრის საკითხებს, კერძოდ იოანე პეტრიწს, იყო ნ. მარის გამოკვლევა «Иоани Петрицкий — грузинский неоплатоник XI — XII вв.» ნ. მარის უდავო დამსახურებაა, რომ მან ამ ნაშრომით გააღვიძა ინტერესი ქართული ფილოსოფიური აზროვნებისადმი, უჩვენა ზოგად ხაზებში მისი მაღალი დონე X — XI საუკუნეებში, როდესაც ნ. მარის მიხედვით, ქართული საზოგადოებრიობა მო-

* ჩვენ ამ წერილით ხშირად ვსარგებლობთ შ. ნუცუბიძის ზემომოტანილი თეზისების განხილვისას.

წინავე ფილოსოფიურ მიმდინარეობებს სხვებზე უფრო ადრე ეხმაურებოდა და ამასთან სანიმუშო ფილოსოფიური კრიტიკით იყო შეიარაღებული.

ს. მარის ნაშრომმა ცხადი გახადა პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნების სიღრმე და ანტიკური ფილოსოფიისა და კულტურის დიდი ცოდნა ჰომეროსიდან დაწყებული ნეოპლატონიკოსებამდე და პროკლემდე.

შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობა ამ მიმართულებით იწყება ოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან. ამ გარემოების ერთგვარ სტიმულს წარმოადგენდა შოთა რუსთაველის პირველი საიუბილეო ზეიმი და ამ იუბილესათვის მზადება. ქართული მეცნიერების წინაშე კონკრეტულად დაისახა ამოცანა აღდგენილიყო ყოველმხრივი სურათი ეპოქისა, რომელშიაც შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“.

დადგა საკითხი რუსთაველის აზროვნებისა და იმ იდეოლოგიური ვითარების შესწავლისა, რომელმაც განსაზღვრა რუსთაველის მსოფლმხედველობის თავისებურებანი, ანდა, როგორც შალვა ნუცუბიძე წერდა რუსთაველისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში, ამოცანა ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებისა და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ განხილვისა „სააზროვნო განვითარების ისტორიულ პერსპექტივაში“*. მაგრამ ეს ამოცანა ძალიან დიდი სირთულეების წინაშე იდგა, ვინაიდან როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ ცოტა რამ იყო გაკეთებული, ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძეგლებიც — გამოუცემელი**.

შალვა ნუცუბიძე ცნობილ ფილოლოგ ს. ყაუხჩიშვილთან ერთად აღგენს ძველი ქართული ფილოსოფიური ძეგლების გამოცემის ფართო გეგმას. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იოანე პეტრიწის თხზულების „განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ გამოცემა (თბილისი, 1937), რომელიც შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ იყო გან-

* რუსთაველის კრებული, 1938., 159.

** თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნემესიოს ემესელის თხზულებას „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც იოანე პეტრიწის მიერ იყო თარგმნილი (გამოსცა სერგი გორგაძემ) ეს გამოცემა თავისი დროისათვის (1914 წ.) მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ხორციელებული. უნდა აღინიშნოს, რომ შ. ნუცუბიძის თანამშრომლობამ ხსენებულ მეცნიერთან, რომელსაც ეკუთვნის მრავალი პუბლიკაცია ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის შეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. ეს იყო ქართული ფილოსოფიური ძეგლის პირველი გამოცემა თანამედროვე მეცნიერების დონეზე, რომელმაც ხელმისაწვდომი გახადა სპეციალისტებისათვის ქართული აზროვნების უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

გამოცემას დართული აქვს მაღალ დონეზე შესრულებული მეცნიერული აპარატი (საძიებლები, ლექსიკონები: ქართულ-ბერძნული, ბერძნულ-ქართული და სხვ). მხოლოდ იმას, ვისაც საქმე ჰქონია პეტრიწის ენობრივად და აზრობრივად რთულ ტექსტთან, შეუძლია ნამდვილად შეაფასოს ამ გამოცემის მნიშვნელობა.

ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომელიც ქართული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, წინაშე დადგა, იყო ფილოსოფიის ისტორიული განვითარების შესწავლის მეთოდოლოგიური პრინციპების გარკვევა, გარკვევა მოპირდაპირე იდეოლოგიური და ფილოსოფიური მიმდინარეობებისა; მათი კავშირისა ქვეყნის კულტურულ განვითარებასთან, სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებასთან.

ერთ-ერთ აღრინდელ ნაშრომში* შალვა ნუცუბიძე უპირისპირებს ორ ნაკადს ქართულ აზროვნებაში — „საერთო ფილოსოფიისა“ და „თეოლოგიურ-ფილოსოფიურისა“. რა თქმა უნდა, ამ ნაშრომში მიმდინარეობათა ტერმინოლოგიურ გამოხატვას არა აქვს მნიშვნელობა. აქ მთავარია ამ მიმართულებათა მიმართება სოციალურ ფენებთან და სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ეპოქის გაბატონებულ შეხედულებებთან, შუა საუკუნეების დოგმატიკასთან. ტრაქტატი „პირმშოსათვის“ (მოთავსებული არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“), რომელსაც აქ შ. ნუცუბიძე ეხება, არა მხოლოდ „განსხვავდება საერო-ფილოსოფიურ წრეში მიღებულ თხზულება-

* იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XII ს. საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938.

თავან“, არამედ „სწორედ ამ საერო-ფილოსოფიური წრის წინააღმდეგ არის მიმართული“. ტრაქტატის პოლემიკური ნაწილი წარმოადგენს საერო-ფილოსოფიური სკოლის, კერძოდ პეტრიწის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებს.

იოანე პეტრიწის შრომის ზემოხსენებულმა გამოცემამ მტკიცე მეცნიერული ნიადაგი შეუქმნა ქართული ფილოსოფიური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის მეცნიერულ შესწავლას, ხოლო მან შ. ნუცუბიძის ადრინდელ ნაწარმოებთან (1930-იანი წლების მიწურულში) და პეტრიწის შრომების II ტომისადმი დართულ ვრცელ შესავალ წერილთან (გვ. გვ. IX — CXII) ერთად, მნიშვნელოვნად გააძლიერა ინტერესი ქართული ფილოსოფიური აზროვნებისადმი საერთოდ.

ამ შესავალ წერილში წარმოდგენილია ავტორის კონცეფცია ქართული აზროვნების განვითარების შესახებ, და რუსთაველის ეპოქა განხილულია როგორც ქართული რენესანსი. ამ რენესანსის დაგვირგვინებას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“.

ავტორის სიტყვით „დიდ სავაჭრო გზაზე აქტიურად გამოსული საქართველო უშუალოდ ეზიარება დასავლეთის ფილოსოფიურ საქმიანობას. აგრძელებს საკუთარ ფილოსოფიურ ტრადიციებს, და ბერძნებთან ერთად ჩაებმის იმ დიდ კულტურულ ნაკადში, რომელსაც ადრინდელი, ანუ ბიზანტიური რენესანსი ეწოდება“*. XI—XII სს. საქართველო აღწევს აზროვნების მაღალსა და ახალ საფეხურს, რომელიც წარმოადგენს „პლატონ-არისტოტელეს“ სიმფონიის „ცდას“, იგი სასულიერო აზროვნებას უპირისპირდება და თავისუფალია დოგმატიზმისაგან.

ბუნებრივია, რომ ავტორი თავის ყურადღებას ბიზანტიის რენესანსის საკითხებს უთმობს და ბიზანტიის რენესანსი, როგორც უდავო ფაქტი, მიაჩნია „ერთ-ერთ დიდ ნაკადად, საიდანაც დასავლეთ ევროპამ მიიღო განახლების სტიმული“ და შეამზადა სხვა მოვლენებთან ერთად „დასავლეთ ევროპის რენესანსის საქმე“.*
თვით ბიზანტიის რენესანსი განხილულია როგორც აღმოსავლეთის მოწინავე ხალხების დასავლეთის კულტურასთან თანამშრომლობით

* იოანე პეტრიწი, შრომები, II, 1937, გვ. IX.

** იქვე, გვ. XXI.

გაპირობებული მოვლენა, რომელიც გარკვეული პირობების გამო შეჩერდა და შემდგომი განვითარება და აღდგომა ელარ მოიპოვა.

ბიზანტიის რენესანსი, ავტორის წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით გაგრძელდა საქართველოში, სადაც ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ისეთი კულტურული მოვლენა, რომელიც რენესანსის უტყუარი ნიშნების მქონეა. ეს განსაკუთრებით პეტრიწის ფილოსოფიურ მოღვაწეობასა და რუსთაველის შემოქმედებაში გამოვლინდა.

ხსენებული შესავალი წერილის ძირითად მიზანს შეადგენს ქართული რენესანსის გარკვევა. მაგრამ ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა მსოფლიო რენესანსის საკითხებს. რამდენიმე წლის შემდეგ შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში მომწიფდა აღმოსავლეთის რენესანსის იდეა. რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული დასავლეთის მეცნიერების „ევროპოცენტრისტული“ თეორიების კრიტიკულ განხილვასთან. შემდეგში, მრავალი წლის მანძილზე შ. ნუცუბიძე უბრუნდება, ავითარებს და აღრმავებს აღმოსავლეთის რენესანსის საკითხებს.

აღმოსავლეთის რენესანსის საკითხთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორ პრობლემას აქვს. ორივე მათგანი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული; ორივეს მნიშვნელობა სცილდება ქართველოლოგიის ფარგლებს, ეკუთვნის მსოფლიო კულტურის ისტორიის სფეროს და შესაფერის გამოხმაურებას პოულობს როგორც საბჭოთა, ისე დასავლეთის მეცნიერებაში.

ერთი მათგანი დასავლეთის კულტურის აღმოსავლურ ძირებს ეხება, მეორე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებების ისტორიულ მნიშვნელობას და მისი ნამდვილი ავტორის ძიებას.

შ. ნუცუბიძე თავის კვლევა-ძიებას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ რენესანსი წარმოდგენს თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ სადავო პრობლემას და ეს ერთი შეხედვით აკადემიური საკითხი, იწვევს ცხარე კამათს: „იგი გადაიქცა დასავლეთ ევროპის კულტურის ფესვების საკითხად და ეხება როგორც ეროვნულ-კულტურულ, ისე სოციალურ-კლასობრივ ინტერესებს“^{*}.

* Восточный Ренессанс и критика европоцентризма, საქართველოს სსრ მეც. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 773.

დასავლეთის მეცნიერებს (მიშლეს, ფოიქტს, ბურჰარდტს და სხვ.), რომლებმაც წამოკრეს რენესანსის საკითხი, ვერ წარმოუდგენიათ არაევროპული რენესანსის შესაძლებლობა. ბუნებრივია, რომ რენესანსის კვლევის დროს დასავლეთის მეცნიერების წინაშე დადგა მისი წყაროების საკითხი, და ისეთი გადაწყვეტა მოიპოვა, რომელსაც შ. ნუცუბიძე „ევროპოცენტრიზმის“ თავისებურ გამოვლენას უწოდებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით ევროპის კულტურის წყაროები „კონცენტრირებულია თვით ევროპაში“. ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, ჰანს ჰენინგი) კიდევ უფრო შორს მიდის და დასავლეთის ფილოსოფიური აზროვნების ძირებს ხედავს არა ანტიკურობის ათვისებაში, არამედ აზროვნების ევროპულ თავისებურებაში, რომელიც, მისი სიტყვით, თავისი ბუნებით ძალიან განსხვავდება ანტიკურობისაგან. „დასავლეთ ევროპის იდეოლოგიური განვითარების დამოუკიდებლობა — წერს შ. ნუცუბიძე — ემყარება ხსენებულ ავტორთან ნებისმიერ, სრულიად არამეცნიერულ დაშვებებს ევროპელებსა და სხვა ხალხების (მათ შორის აღმოსავლეთის ხალხების) ნიჭიერების განსხვავების შესახებ“*. მხოლოდ ევროპელებს გააჩნიათ, სხენებული ავტორის მიხედვით, „განყენებული“ აზროვნების უნარი, „მიდრეკილება ფასეული დამოკიდებულებებისადმი, მოვლენებისადმი, საკუთარი „სულიერი სტილი“ რომელითაც ევროპელები (და კერძოდ, „ჩრდილოელები“) გამოირჩევიან.

„ევროპოცენტრიზმის“ განმსაზღვრელი ფაქტორების ჩვენების მიზნით შ. ნუცუბიძე ამახვილებს ყურადღებას იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს მაგალითად, გერმანელსა და იტალიელ მკვლევრებს შორის. ეს ორი ჯგუფი მეცნიერებისა შეთანხმებულია, რომ დასავლეთის რენესანსს ევროპული ფესვები აქვს; „კამათი მიმდინარეობს მხოლოდ „სულის“ გამო“, არის ეს სული „იტალიური“, აუ „ჩრდილო გერმანული“.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამგვარი თვალსაზრისის პრინციპული და ფაქტობრივი კრიტიკა საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთ აქ-

* Восточный Ренессанс и критика европоцентризма, საქართველოს სსრ მეც. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 774.

ტულურ და გადაუდებელ ამოცანად უნდა ქცეულიყო. ამავ დროს ცხადია ისიც, რამდენად რთულია და რამდენად ღრმასა და მრავალმხრივ კვლევას საჭიროებს პრობლემა, რომელიც საბჭოთა მეცნიერებაში პირველად დააყენა შ. ნუცუბიძემ. ასე გაიგო და შეაფასა, როგორც ეს პრობლემა, ისე შ. ნუცუბიძის ღვაწლი ცნობილმა მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ. „მე ვთვლი, — წერდა იგი, — რომ ჩვენ, საბჭოთა კულტურის ადამიანები, რაც შეიძლება მალე უნდა გავთავისუფლდეთ დასავლეთის ბურჟუაზიული მეცნიერების ტრაფარეტებისაგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთობის საკითხში. საბჭოთა მეცნიერების საპატიო მოვალეობაა შეუდგეს აღმოსავლური რენესანსის შესწავლას. ამ მხრივ „განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს შ. ნუცუბიძის ლიტერატურულ-მხატვრული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა“. ეს მუშაობა და მისი დასკვნები „წარმოადგენს პირველ გაბედულ ნაბიჯს ამ მიმართულებით და იძლევა სწორ ორიენტაციას რენესანსის აკვნის საკითხში“*.

მსოფლიო კულტურის განხილვა ამ თვალსაზრისით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესატყვისი ფაქტების შესწავლა საფუძველს აძლევს შ. ნუცუბიძეს დაასკვნას, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურული მოვლენები უარყოფენ ბურჟუაზიული მეცნიერების „ევროპოცენტრიზმს“ და ნათლად ადასტურებენ, რომ რენესანსის თავისებურებანი, რომლებმაც ევროპაში იჩინა თავი, არ წარმოადგენენ „ცალმხრივ მოვლენას“**, თავისებურებას, დამახასიათებელს მხოლოდ ევროპული კულტურისათვის. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ რენესანსი აღმოსავლეთში ადრე დაიწყო და შემდეგ დასავლეთში განვითარდა.

შალვა ნუცუბიძემ აღმოსავლური რენესანსის თავისი ზოგადი კონცეფცია და „ევროპოცენტრიზმის“ კრიტიკა პირველად მოხსენების სახით გამოთქვა 1940 წელს მოსკოვის მ. გორკის სახელობის

* Алексей Толстой, Ближкое - свое. «Огонёк», № 38, სექტემბერი, 1968, გვ. 9.

** სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941.

მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში. სხდომას თავმჯდომარეობდა ცნობილი მეცნიერი ი. ი. ასისომოვი, კამათში მონაწილეობდა მრავალ მკვლევართა შორის ვ. მ. ყირმუნსკი, ამჟამად აკადემიკოსი. რომელმაც მომხსენებლის დებულებებისადმი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიჭირა და მომხსენებლის წინააღმდეგ რამდენიმე მოსაზრება წამოაყენა. მომხსენებელს მრავალი მომხრე აღმოუჩნდა დამსწრე მეცნიერებს შორის და დაევალა დაეწერა მონოგრაფიული გამოკვლევა რუსთაველისა და აღმოსავლეთის რენესანსის საკითხზე.

მონოგრაფია «Руставели и Восточный Ренессанс» გამოქვეყნდა 1947 წელს (მეორე გამოცემა 1967 წელს). ამ ნაშრომში მოცემულია აღმოსავლეთის რენესანსის თეორიის შემდგომი გაღრმავება და დასაბუთება: ვანვითარებულია დებულება, რომ რენესანსული მოვლენები გარკვევით იჩენს თავს XI XII საუკუნეთა ქართულ კულტურაში, ხოლო მკვეთრად ვლინდება რუსთაველის შემოქმედებაში. ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ შ. ნუცუბიძის თეორია აღმოსავლური რენესანსის შესახებ მის პრინციპულ, ზოგად ნაწილში მრავალმა მეცნიერმა გაიზიარა. მათ შორის ვ. მ. ყირმუნსკიმაც.

ამ თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლად დღეს საბჭოთა მეცნიერებაში ითვლება აკად. ნ. ი. კონრადი, რომელიც წერდა: „აზრი აღმოსავლეთის რენესანსის შესახებ ჩვენ მკვლევართა შორის შედარებით დიდი ხანი არაა რაც წარმოიქმნა და ბუნებრივია, რომ იგი პირველ ყოვლისა თვით აღმოსავლეთის, ამ შემთხვევაში საბჭოთა აღმოსავლეთის, ქვეყნების სწავლულთა შორის დაიბადა. 1947 წელს შ. ი. ნუცუბიძემ შრომაში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“ დაიწყო ლაპარაკი დიდი ქართველი პოეტის ეპოქის ე. ი. XII—XIII საუკუნეების როგორც ქართული რენესანსის, შესახებ. 1948 წ. ივ. ჯავახიშვილმა თავის „საქართველოს ისტორიაში“ წარმოადგინა XII ს. საქართველოს ისტორიული სინამდვილე, როგორც ანალოგიური სურათი იმისა, რასაც ევროპაში უწოდეს რენესანსი.

აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემა წამოიჭრა აგრეთვე საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის წინაშე საერთოდ. 1955 წელს შრომაში „შუა საუკუნეები საისტორიო მეცნიერებაში“ ამ სტრი-



ჯეოლოგი იარომირ იედლოჩკა და უ. ნუსუბიძე



მ. ნუსუბიძე თავის აგარაკზე გლდანში

ქონების ავტორმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ იმ ეპოქის ანალოგიური, რომელსაც იტალიის ისტორიაში უწოდეს „აღორძინება“, შეიძლება აღმოსავლეთის ზოგიერთი ხალხის ისტორიაშიც მოიპოვებოდეს: ჩინეთში VIII — XII საუკუნეებში და შუა აღმოსავლეთში (შუა აზია, ირანი, ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი) IX — XII საუკუნეებში. 1961 წელს სტატიაში „აღიშერ ნავთი და აღმოსავლეთის ლიტერატურათა რენესანსის პრობლემა“ ამჟღავნებდა. შუა აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის მიმართ, წერდა ვ. მ. ყირმუნსკი“*.

აქ ზოგიერთი უზუსტობაა, მაგრამ დადასტურებულად ის ფაქტი, რომ შალვა ნუცუბიძემ აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემა საბჭოთა მეცნიერებაში პირველმა დააყენა და რომ აკად. ვ. მ. ყირმუნსკი ამავე თვალსაზრისზე დადგა.

შალვა ნუცუბიძესა და სხენებულ მეცნიერთა შორის ასრთა სხვადასხვაობა არსებობს აღმოსავლეთის რენესანსის საწყისებისა და გავრცელების ვსათა საკითხში. მაგრამ არა თვით აღმოსავლური რენესანსის, როგორც ფაქტის არსებობის საკითხში.

აღმოსავლეთის რენესანსის თეორია პერსპექტიული აღმოჩნდა შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო შემოქმედებაში. მართალია, ამ თეორიის კრიტიკა „ევროპოცენტრისტული“ პოზიციებიდან დღესაც გრძელდება: „საკითხი იმის თაობაზე, — წერს ზიგფრიდ ვოლგასტი, — ევროპის გარეთაც იყო თუ არა რენესანსი, ბურჟუაზიულ მეცნიერებს აშკარად ნაკლებად აქვთ ნაკვლევი. ამ მხრივ ცვლილება პირველად მარქსისტულმა კვლევამ მოგვიტანა, მაგრამ, ამასთან ერთად, — მოგვიტანა პრობლემებიც“***. ავტორის პასუხი ამ კითხვაზე კატეგორიულია: „მე დიცეს არგუმენტაციას ვეთანხმები ასეთი ასპექტითაც: „კითხვაზე... რამდენი „რენესანსი“ არსებობს, შეიძლება კატეგორიულად ვუპასუხოთ — ერთი“***. ეს „ერთი რენესანსი“ დასავლური და მხოლოდ დასავლური რენესანსია!

* После словне акад. Н. И. Конрада к книге В. Ч. Чалояна «Армянский Ренессанс», Москва, 1963, гл. 159.

** არსებობს თუ არა ქართული რენესანსი? „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია I, 1986, გვ. 97.

*** იქვე, გვ. 96; იქვე იხ. ჩვენი პასუხი — „რამდენიმე განმარტება“.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ თეორიის მომხრეთა რიცხვი იმდენად იზრდება (გარდა ზემოხსენებული ავტორებისა — ალ. ლოსევი, ი. ს. ბრაგინსკი და სხვ.) და გამოკვლევები ამ მიმართულებით იმდენად ირავლდება, რომ დღეისათვის უბრალო ჩამოთვლაც დიდ აქილს დაიჭერდა იმ შრომებსა, რომლებაც ეხება რენესანსის სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიაში, რუსეთში, ბიზანტიაში და სხვ.

ირავალ ავტორს შორის დავიმოწმებ ალ. ლოსევს, რომლის სახელი კარგადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის: ქართული რენესანსის მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები გამოდიოდნენ ნეოპლატონისტური და არეოპაგიტული რენესანსის მოთავეებად ევროპაში, რომ მათ, ყოველივე ექვს გარეშე, ეკუთვნით პრიორიტეტი და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას. კამათი ამის წინააღმდეგ შეუძლებელია*.

1944 წელს შალვა ნუცუბიძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ამავე დროს ხსენებულ აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან შეიქმნა ფილოსოფიის სექტორი, რომელიც შემდეგ (1946 წლიდან) ფილოსოფიის ინსტიტუტად გადაკეთდა. შალვა ნუცუბიძე მუშაობს ამ სამეცნიერო დაწესებულებაში მისი დაარსებიდანვე და მთელი მისი სამეცნიერო კვლევადიება აღმოსავლეთის რენესანსის, არეოპაგიტიკის, ქართული ფილოსოფიის ცალკეული პრობლემებისა და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების საკითხებში ამ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული.

ამავე დროს შალვა ნუცუბიძე კითხულობს ქართული ფილოსოფიის ისტორიის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს კურსი მისი ინიციატივით იქნა შემოღებული.

• • •

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის რენესანსის თეორიისათვის, და

* А. Ф. Лосев, Эстетика Возрождения, Москва, 1982, с. 37.

კავშირებულია არეოპაგიტიკასთან ე. ი. იმ თხზულებებთან, რომელთა ავტორად საუკუნეობრივი ტრადიციით დიონისე არეოპაგელი ითვლებოდა. შ. ნუცუბიძის ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიება ორ მხარეს მოიცავს, რომელთაგან ერთი, რამდენაღმე უგულებელყოფილია ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობის მიერ. საქმე ისაა, რომ ამ კვლევა-ძიებაში შ. ნუცუბიძისათვის სრულიადაც არ ყოფილა ერთადერთი არეოპაგიტიკის ნამდვილი ავტორის საკითხი. პრობლემათა იმ წრეში, რომელიც აღმოსავლეთის რენესანსთან დაკავშირებით წამოიჭრა, თავდაპირველი ამოცანა არეოპაგიტული მოძღვრების ისტორიული მნიშვნელობის შეფასება იყო, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის აზროვნებასთან მიმართებაში. ამიტომ შეშფოთებით არაა რომ შ. ნუცუბიძის ზემოხსენებულ ნაშრომში, რომელშიც პირველად იყო გამოთქმული ზოგადი მოსაზრებანი აღმოსავლური რენესანსის შესახებ, არეოპაგიტულ მოძღვრებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

არეოპაგიტული მოძღვრება და მისი გავლენა დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებაზე არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბუთი „ევროპოცენტრისტული“ თეორიების უარსაყოფად და აღმოსავლეთის მნიშვნელობის გასარკვევად დასავლეთის იდეოლოგიურ განვითარებაში.

ამიტომ შ. ნუცუბიძისათვის არეოპაგიტული მოძღვრება დასავლეთის კულტურის აღმოსავლური ძირების ძიების თვალსაზრისით იყო პირველ ყოვლისა საყურადღებო და ამ მოძღვრების შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ მხრივ. შ. ნუცუბიძე აღნიშნულ მოძღვრებაში ხედავს ევროპული რენესანსის თეორიულ, ფილოსოფიურ საფუძვლებს.

ამიტომ, რომ როდესაც შ. ნუცუბიძე უარყოფდა თავის ზემოხსენებულ ნაშრომში დასავლეთის მეცნიერების (ჰენინგის) მტკიცებას, თითქოს იოანე სკოტ ერიგენას ნააზრევი ყოფილიყო ნიშნულში ფილოსოფიური პრობლემატიკის აღდგენისა „ჩრდილოეთის ფილოსოფიის“ სტილში, ის სამართლიანად უსვამდა ხაზს ერიგენას დამოკიდებულებას არეოპაგიტული მოძღვრებისაგან და წერდა: „ცნობილია, რომ ერიგენა არის ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე მქადაგებელი ანტიკური ფილოსოფიის ათვისების იმ სისტემისა,

რომელიც მოცემული იყო დიონისე არეოპაგელის სახელს ამოფარებული ავტორის თხზულებებში. ერიგენას მთავარი თხზულება „განყოფისათვის ბუნებისა“ წარმოადგენს ეგრეთ წოდებული არეოპაგიტული წიგნების შინაარსის თანმიმდევრულ გადმოცემას. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია — განაგრძობს შ. ნუტუბიძე — აღიარება იმისა, რომ დასავლეთის რენესანსის ძირები იდეოლოგიის ხაზით მიდის აღმოსავლეთში“*.

შ. ნუტუბიძე კრიტიკულად აფასებს ე. კასირერის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც რენესანსის (იგულისხმება დასავლეთის რენესანსი) იდეოლოგიის გაგება უნდა ემყარებოდეს ნიკოლოზ კუზანელის მოძღვრებას, როგორც ამოსავალ წერტილს. ხოლო ფილოსოფიურ განვითარებაში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, რენესანსის ეპოქისათვის გადამწყვეტ საფეხურს კუზანელის ნააზრვეი შეადგენს, თვალსაჩინო ადგილი მაისტერ ეკპარტს უჭირავს. შალვა ნუტუბიძის აზრით, დასავლეთის ფილოსოფიის ეს (ეკპარტისა და კუზანელის) ხაზი უნდა გაგრძელდეს მოაზროვნეში, რომელიც ორივეს წყაროს წარმოადგენს. „თვით კუზანელი მიუთითებს, — წერს შ. ნუტუბიძე, — რომ ის ძირითადად ამოდის ფსევდო-დიონისე არეოპაგელიდან“**.

არეოპაგიტული მოძღვრება და მისი როლი დასავლეთის აზროვნებაში უგულვებელყოფილი იყო არა მხოლოდ დასავლეთის მეცნიერებაში, არამედ საბჭოთა მეცნიერებაშიც და უყურადღებოდ დატოვებული კერძოდ ქართულ მეცნიერებაში.

1942 წელს შ. ნუტუბიძე აქვეყნებს ნაშრომს — „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“*** რომელიც წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევას როგორც ქართული ფილოსოფიური აზრის, ისე საერთოდ ფილოსოფიის განვითარებისა და აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემათა თვალსაზრისით.

არეოპაგიტული მოძღვრების ისტორიული მნიშვნელობა შ. ნუტუბიძის გამოკვლევის მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ მისი იდეები წარმოადგენენ შუა საუკუნეების აზროვნების ძირითად პროგრესულ მიმდინარეობას. ისინი უპირისპირდებიან შუა საუ-

* ციტირ. თხზ., გვ. 774.

** იქვე, გვ. 775.

*** Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, Тбилиси, 1942.

კუნეების დოგმატიზმს და მას შემდეგ, რაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებები ლათინურ ენაზე ითარგმნა IX საუკუნეში იოანე სკოტ ერიგენას მიერ, მასი იდეები შევიდა დასავლეთის ანტი-როვნებაში, და დაუპირისპირდა კათოლიკურ ეკლესიასა და მის საფუძველზე აღმოცენებულ იდეოლოგიას.

მაქსიმე კონფესორი, იოანე დამასკელი, ფოტიუსი და თომა აქვინელიც * შეეცადნენ ეს მოძღვრება ეკლესიასთან შეეგუებინათ, მაგრამ ეს იყო არსებითად ფსევდო-დიონისეს მოძღვრების სქოლასტიზირება და ამდენად იმავე გზას წარმოადგენდა, რაც შუა საუკუნეების ანტიროვნებამ არისტოტელეს მიმართ აირჩია. მაგრამ „სქოლასტიზირებული ფსევდო-არეოპაგიტი ისევე ცოტას შეიცავდა ნამდვილ არეოპაგიტულ იდეებს, როგორც სქოლასტიზირებული არისტოტელე-არისტოტელურს“**.

ამ გზისაგან არსებითად განსხვავდებოდა მეორე უფრო მნიშვნელოვანი საანტიროვნო მიმდინარეობა დასავლეთში, აღჭურვილი ნამდვილი არეოპაგიტული იდეებით. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან ერიგენა, გროსეტესტე, ბონავენტურა, მაისტერ ეკჰარტი და ნიკოლოზ კუზანელი. ამავე მიმართულებას ეკუთვნოდა ზიგიერ ბრაბანტელი — „რომლის მხრებზეც შევიდა დანტე დასავლეთის წინა რენესანსში“ (გვ. 21). არეოპაგიტული იდეების აშკარა კვალმა მოაღწია აგრეთვე ჯორდანო ბრუნომდე.

არეოპაგიტიკის ძირითადი იდეები, რომლებმაც პროგრესული როლი შეასრულეს ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ანტიროვნებაში, ამ მოძღვრების იმ ნაწილთან არის დაკავშირებული, რომელიც ეხება ზეციურ და მიწიერ იერარქიას და ყოველივეს ღმერთთან დაბრუნებას; კერძოდ, ადამიანის გაღმერთებას (თეოზისს). არეოპაგიტული იერარქიის პრინციპი, აღმოცენებული ნეოპლატონისტურ რიგთა (საფეხურთა) თეორიის საფუძველზე — არ ცვლის არსებითად და ძალაში ტოვებს ნეოპლატონისტურად გაგებული ერთიდან გამომდინარე საფეხურების კავშირს. ეს კავშირი მათ შორის აუცილებელ მიმართებას წარმოადგენს, და ამდენად

* დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

** იქვე, გვ. 20.

ეწინააღმდეგება ქრისტიანულ საფუძველზე აღმოცენებულ შუა საუკუნეების აზროვნების ერთ-ერთ ძირითად შეხედულებას სამყაროს შექმნის შესახებ თავისუფალ თვითგანსაზღვრებაში. ქრისტიანულ კრეაციონიზმს უპირისპირდება არეოპაგიტული ნეცესარიანიზმი.

ამ მოძღვრების მიხედვით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს შ. ნუტუბიძე, კარგავს თავის მნიშვნელობას კრეაციონისტული დებულება ერთის (ღმერთის), როგორც ყოველივე არსებულის უშუალო შემოქმედების შესახებ, და ეს უნარი „შექმნისა“ ენიჭება ყოველი ზემდგომი საფეხურების მოვლენას ქვემდგომის მიმართ.

აღმოსავლეთში ეს დებულება შეითვისა აბუ-ალი-იბნ-სინამ (ავი-ცენამ), დასავლეთში, სხვებს შორის, ზიგიერ ბრაბანტელმა, რომელსაც თომა აქვინელი ეკამათებოდა მასზე ადრე აღმოსავლეთში იოანე დამასკელის მიერ გამოთქმული დებულებით: „მივსდევ რა კათოლიკურ რწმენას, ვფიქრობ რომ ყველა სულიერი სუბსტანციები და ნივთიერი მატერია ღმერთმა უშუალოდ შექმნა (deus immediate creavit), და უარყოფ ერეტიკოსებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ანგელოზებს ანდა სხვა ქმნილებებს შეუძლიათ რაიმე შექმნან“*.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და როგორი როლი უნდა შეესრულებინა ამ თვალსაზრისს შუა საუკუნეების სააზროვნო ვითარებაში, ჩანს იქიდან, რომ 1277 წელს პარიზში ოფიციალურად იქნენ გაკიცხულნი მოაზროვნენი, რომლებიც, ბრალდების ფორმულირების მიხედვით, იცავდნენ დებულებებს: „შეუძლებელია პირველშემქმნელისაგან მომდინარეობდეს შედეგების სიმრავლე“, ანდა — „პირველის უშუალო მოქმედება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი და მსგავსი ერთისა“.

არსის ამგვარი მოაზრების საფუძველზე არეოპაგიტულ მოძღვრებაში იქმნება შეხედულებანი ყოველივეს ღმერთთან დაბრუნებისა და, კერძოდ, ადამიანის გაღმერთების შესახებ. ეს უკუდაბრუნების პროცესი აუცილებლობის პრინციპს ემყარება და ამდენად უკარგავს როგორც საფუძველს, აგრეთვე აზრს მონანიებისა

* დასახ. ნაშრომი გვ. 21.

და მიზღვევის რთულ კონცეფციას, რომელსაც ქრისტიანული რელიგია, როგორც ცნობილია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

არეოპაგიტიკის კვლევამ შ. ნუტუბიძის წინაშე დააყენა ახალი საკითხი — მოძღვრების ნამდვილი ავტორის შესახებ, ხოლო მისა და გადაწყვეტაში სრულიად ახალი შუქი მოაჭინა საკითხს და ფართო გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიო მეცნიერებაში.

ისტორიული ცნობა იმის შესახებ, რომ არეოპაგიტიკული ძეგლები I საუკუნის მოღვაწეს, ისტორიულ პირს — დიონისე არეოპაგელს მიეწერება, მომდინარეობს VI საუკუნის დასაწყისიდან. ათი პირველი დამოწმება, როგორც დიონისე არეოპაგელის თხზულებებისა, მოხდა 532 წელს, კონსტანტინოპოლში მიმდინარე საეკლესიო კრებაზე, რომელზედაც მწვავე კამათი წარმოებდა ქრისტიანობის შიგნით ჩასახულ მიმართულებათა შორის.

ამ დროიდან ხდება ცნობილი ბერძნულ ენაზე დაწერილი ოთხი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტრაქტატი და 10 ეპისტოლე, რომლებიც შეადგენს არეოპაგიტულ კორპუსს და მრავალი საუკუნის მანძილზე მიეწერებოდა დიონისე არეოპაგელს. არეოპაგიტული კორპუსი ითარგმნა მრავალ ენაზე: სირიულზე (ეს იყო მისი პირველი თარგმანი, შესრულებული სირიელი ფილოსოფოსის სერგი რეშაინელის მიერ), არაბულზე, კოპტურზე, სომხურზე და ქართულზე (თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს და წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის ფაქტს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით). ითარგმნა ის ლათინურ ენაზეც იოანე სკოტ ერიგენას მიერ და მან დიდი გავლენა მოახდინა, როგორც იყო აღნიშნული, შუა საუკუნეების დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

მაგრამ როდესაც დასავლეთში არეოპაგიტულმა თხზულებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და ინტენსიური შესწავლის საგნად იქცა, გამოირკვა, რომ ამ თხზულებების ავტორი არ შეიძლება იყოს დიონისე არეოპაგელი ყოფილიყო. მთელი რიგი საბუთები, რომელთაგან ძირითადია ამ მოძღვრების დამოკიდებულება ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნის მოღვაწის ნეოპლატონიკოს პროკლესაგან, ეჭვს გარეშე ადასტურებდა, რომ ეს თხზულებები უნდა

შექმნილიყო არა უადრეს პროკლეს დროისა. ამ ფაქტის დადგენამ, რაც XVI საუკუნეში მოხდა, მეცნიერების წინაშე დასახა ფსევდოდონისეს, ე. ი. დონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებების ნამდვილი ავტორის საკითხი.

დასავლეთის მეცნიერების ხანგრძლივი ძიება ამ მიმართულებით ვერ მივიდა რაიმე დასაბუთებულ და დამაჯერებელ დასკვნამდე. გამოთქმული იყო რამდენიმე მოსაზრება, დასახელებული იყო რამდენიმე ისტორიული პირი, როგორც შესაძლებელი ავტორი ამ თხზულებებისა, მაგრამ ვერც ერთმა შეხედულებამ ვერ გაუძლო მეცნიერულ კრიტიკას. ამ საკითხის ერთ-ერთი საფუძვლიანი მკვლევარი ჰ. კოხი იძულებული იყო XIX — XX საუკუნეთა მიჯნაზე ელიარებინა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, „ვინაა ეს საიდუმლოებით მოცული ადამიანი... პასუხი ამ კითხვაზე სამუდამოდ უარყოფილია სფინქსის მიერ“*.

მაგრამ, თუ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, მეცნიერება მაინც მივიდა გარკვეულ პოზიტიურ დასკვნამდე, რომლებიც შეიძლებოდა ქცეულიყო შემდგომი ძიების ამოსავალ წერტილად. დადგინდა არეოპაგიტული კორპუსის შექმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები, რომლებიც განისაზღვრა V საუკუნის მეორე ნახევრით. შემოიფარგლა მათი ავტორის მოღვაწეობის ტერიტორიული არეც — ეს თხზულებები უნდა შექმნილიყო სირიაში, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ ფილოსოფიური აზროვნების დონის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან რაიონში; უფრო ზუსტად, როგორც ამას ფიქრობდა საკითხის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი — შტიგლმაირი, ეს თხზულებანი უნდა შექმნილიყო ქალაქ-გაზაში ან მის მახლობლად. არ იწვევდა ეჭვს არც ის გარემოება, რომ არეოპაგიტული კორპუსის ავტორი უნდა ყოფილიყო წარჩინებული საეკლესიო პირი, ეპისკოპოსი.

ასეთი იყო, ზოგადად, ვითარება დონისე არეოპაგელის საიდუმლოების ამოხსნის მხრივ, როდესაც საკითხის შესწავლა დაიწყო შ. ნუტუბიძემ. კვლევის პირველი შედეგები მის მიერ გამოქვეყნდა, როგორც ითქვა, 1942 წელს.

* H. Koch, Pseudo-Dionysius Areopagita in seinen Beziehungen zum Neuplatonismus und Mysterienwesen, 1900, გვ. 280.

შ. ნუცუბიძის თეორიის მიხედვით არეოპაგიტული კორპუსის ავტორი უნდა ყოფილიყო V საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი.

პირველი პირობა, რომელიც აუცილებელია საკითხის ამგვარი გადაწყვეტისათვის, თვით პეტრე იბერის პიროვნებაა, მისი მოღვაწეობის ხასიათი და პირადი მონაცემები. როგორც შემდეგში ბელგიელი აკადემიკოსი ერნესტ ჰონიგმანი წერდა, არეოპაგიტული კორპუსის ავტორის საკითხის გადასაწყვეტად „ცხადია უნდა მოიძებნოს პიროვნება არაჩვეულებრივი მონაცემებით“. იყო თუ არა პეტრე იბერი ისეთი მოაზროვნე და მწერალი, რომელსაც შეეძლო მოეაზრებინა და დაეწერა ესოდენ მეცნიერული და ღრმა თხზულებანი?*

პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ შრავალრიცხოვანი წყარო არსებობს და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ქართულ სინამდვილეში იგი ბედნიერ გამოაქლისს წარმოადგენს. ამ წყაროების მიხედვით, რომლებიც დაწერილია ბერძნულ, სირიულ და ქართულ ენებზე, ცნობილი ხდება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტები.

პეტრე იბერი იყო მეფისწული, შვილიშვილი ბაკურისა, რომელმაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა ქართლში. ბავშვობაში პეტრე (ერისკაცობაში ნაბარნუგი, ქართული წყაროებით მურვანოსი) გაგზავნეს აღმოსავლეთ რომის იმპერიის კეისრის თეოდოსი II (408 — 450) კარზე, როგორც მძევალი. მას თან გააყოლეს მისი აღმზრდელი და ნათლია იოანე ლაზი, რომელსაც ერნესტ ჰონიგმანი მნიშვნელოვან როლს აკუთვნებს არეოპაგიტული კორპუსის შექმნაში.

იმპერატორის კარზე ახალგაზრდა უფლისწული დიდ წარმატებას აღწევს, ღებულობს შტალმაისტერის საპატრიო თანამდებობას და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს როგორც იმპერატორის, ისე დედოფლების (იმპერატორის დის პულქერიას და მეუღლის ედოკიას) მხრივ.

ცხოვრების მეორე ნახევარს პეტრე იბერი ატარებს სირიაში,

* Э. Хонигман, Петр Ивер и сочинения Псевдо-Днионсия Ареопагита, Тбилиси, 1955, т. 1, стр. 59.

სადაც ის მიემგზავრება თავის აღმზრდელ იოანე ლაზთან ერთად. აქ ის ხდება მაიუმის (ქალაქ გაზას მახლობლად) ეპისკოპოსი. აქედან იწყება მისი მღვდელმთავრობა, რამაც მას უდიდესი სახელი მოუპოვა. ერთ-ერთი ბიოგრაფის სიტყვით პეტრე იბერი არის „მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი“*, რომელსაც, იმავე ცნობით, სხვა ავტორები საკუთარ თხზულებებს მიაწერდნენ, რათა ამ უკანასკნელთ მეტი ავტორიტეტით ესარგებლათ**.

პეტრე იბერის გარშემო შემოიკრიბა ქ. გაზას გამოჩენილ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა ჯგუფი.

პეტრე იბერის მოღვაწეობა თანაბარი წარმატებით მიმდინარეობს როგორც აზროვნების, ისე პრაქტიკული საქმიანობის სფეროში, როგორც მოაზროვნე და ორგანიზატორი, იგი სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. მას კავშირი აქვს საქართველოსთან და ეწევა ქართული მონასტრების მშენებლობას სირიაში***.

პეტრე იბერის იდენტიფიკაცია ფსევდო-დიონისესთან (არეოპაგიტული კორპუსის ნამდვილ ავტორთან) შეიძლებოდა პირველ ყოვლისა ანალოგიების დადგენით არეოპაგიტულ მოძღვრებასა და პეტრე იბერის შეხედულებათა შორის. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ პეტრე იბერის შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია (რომ მას შრომები უნდა ჰქონოდა, ამას ადასტურებს თუნდაც ის ცნობა, რომლის მიხედვითაც სხვა მწერლები თავის თხზულებებს პეტრე იბერს მიაწერდნენ. პეტრე იბერი რომ ცნობილი არ ყოფილიყო როგორც მწერალი, ასეთი მიწერა პრაქტიკულად უაზრო იქნებოდა).

* „გეორგიკა“, III. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და კომენტარები. თბილისი, 1966. გვ. 4.

** იქვე, გვ. 6.

*** არსებობს ცნობა, რომ პეტრე იბერს პალესტინასა და ეგვიპტეში არა ერთი ეკლესია და მონასტერი აუშენებია. მის მიერაა აშენებული აგრეთვე რამდენიმე წლის წინ იტალიელთა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ექსპედ. ხელმძღვანელი — ვირჯილიო კორბო) აღმოჩენილი მონასტერი ქართული წარწერით (იხ. გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შალვა ნუცუბიძემ პალესტინის ამ ქართულ წარწერებს რამდენიმე სტატია მიუძღვნა და გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერებში მოხსენებული „მურვანი“ უნდა იყოს პეტრე იბერი („მნათობი“, 1, 1959, გვ. 150).

მიუხედავად ამ გარემოებისა, მკვლევრის მახვილი თვალი და ინტუიცია ახერხებს ამგვარი ანალოგიების დადგენას პეტრე იბერის ბიოგრაფიებში მოცემულ ფაქტებთან. არეოპაგიტული მოძღვრება „თეოზისის“ შესახებ, წერს შ. ნუცუბიძე, ემთხვევა პეტრეს შეხედულებებს. ძალიან ახლოა ერთმანეთთან მათი შეხედულებანი სიკეთეზე. ერთნაირია გზა სიკეთისადმი, მისი წვდომისადმი, რომელიც ექსტაზის მდგომარეობაში ხორციელდება. ანალოგიურია შეხედულებანი სინათლეზე და ა. შ. მსოფლიოს სურათი, რომელიც „ეზმანება“ იოანე ლაზს პეტრე იბერის „ცხოვრების“ მიხედვით, ზუსტად ემთხვევა მსოფლიოს სურათს, რომელიც მოაზრებულია არეოპაგიტულ თხზულებაში „ზეციური იერარქია“.

ერთ-ერთი რეცენზიის მიხედვით, რომელიც მოთავსებული იყო «Византийский Временник»-ში, 1949 წელს, შ. ნუცუბიძის გამოკვლევის ფაქტი ცნობილი გახდა ბელგიელი მეცნიერის ერნსტ ჰონიგმანისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ 1946 წელს დაწერილ (და 1950 წელს გამოქვეყნებულ) შრომაში გამოთქმული ჰქონდა ვარაუდი, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებების ავტორი პეტრე იბერი უნდა ყოფილიყო. ამ დებულების დამტკიცებას ე. ჰონიგმანი პირდებოდა მკითხველს სხვა შრომაში*. ცნობა შ. ნუცუბიძის გამოკვლევის შესახებ გადაიქცა ერთგვარ ბიძგად, რომ ბელგიელი მეცნიერი ამ საკითხს დაბრუნებოდა და თავისი ადრინდელი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. „სამწუხაროდ. — წერს ჰონიგმანი, — ამ მეცნიერის (შ. ნუცუბიძის, შ. ხ.) შრომა ჩემთვის ხელმიუწვდომელია, ხოლო ლ. მელიქსეთ-ბეგის რეცენზია გადმოგვეცემს, და ისიც ძალიან მოკლედ, შრომის მხოლოდ პირველ ექვს თავს, ასე რომ მე არ ვიცი რამდენად შევძელით ჩვენ ჩვენს ნაშრომებში მივსულიყავით ერთსა და იმავე შედეგამდე ანალოგიური დასკვნების გზით. მაგრამ თუ რეცენზია გადმოგვეცემს ცოტად თუ სრულად აღნიშნული ნაშრომის შინაარსს, მაშინ საკმარისად ცხადია, რომ ჩვენ სხვადასხვა გზით ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივედით ერთსა და იმავე დასკვნამდე“**.

* იხ. დასახელებული ჟურნალი, II, 1949, რეცენზია ეკუთვნის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, (გვ. 473-75).

** ე. ჰონიგმანი, დასახ. თხზ., გვ. 40—41.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ნათქვამისა, ე. ჰონიგმანის მრავალი საბუთი, იდეური ანალოგიების ძიების ნაწილში, დაემთხვა შ. ნუცუბიძის ადრე გამოქვეყნებულ მოსაზრებებს. თვით ეს ფაქტი დამთხვევისა აძლიერებს მათ დამაჯერებლობას. ამას გარდა, ე. ჰონიგმანის ძიებანი გამოკვლევის გარკვეულ ნაწილში რამდენადმე გახსნავდება შ. ნუცუბიძის ძიებისაგან გზითაც და დასკვნებითაც. ე. ჰონიგმანმა თავდაპირველად დაადგინა იდენტურობა იოანე ლაზისა იეროთეოსთან (როჰელიც აღმოჩნდა ისეთივე ფსევდონიმი, როგორც დიონისე არეოპაგელის სახელი არეოპაგიტულ კორპუსთან მიმართებაში) და ამან მისცა მას საშუალება გამოეტანა დასკვნა პეტრე იბერის იდენტურობის შესახებ დიონისე არეოპაგელის სახელქვეშ ამოფარებულ პირთან. როლი, რომელიც მიკუთვნებული აქვს იეროთეოსს არეოპაგიტულ თხზულებათა ავტორის მიერ და იეროთეოსის იდენტიფიკაციამ იოანე ლაზთან საფუძველი მისცა ე. ჰონიგმანს იოანე ლაზი ელიარებიანა პეტრე იბერის თანაავტორად ამ თხზულებათა შექმნის დროს.

ე. ჰონიგმანი ვრცლად ჩერდება პეტრე იბერის პიროვნებაზე, როგორც თავისი დროის უდიდეს მოღვაწეზე და სხვადასხვა მოსაზრებათა კრიტიკული განხილვის შემდეგ ასკვნის: „ის, რის უარყოფაც არ შეიძლება, მდგომარეობს იმაში, რომ პეტრეს [იბერის] პიროვნება ახდენდა განუზომელ შთაბეჭდილებას“ მისი წრის „ყველაზე უფრო ამაღლებულ“ ადამიანებზე*. ბელგიელი მეცნიერი ვრცლად მიმოიხილავს ქ. გაზაში ამ დროს შექმნილ კულტურულ ვითარებას და განსაკუთრებით ანტიკური მემკვიდრეობით განსაზღვრულ საზაროვნო დონეს, რაც ერთ-ერთი პირობა უნდა ყოფილიყო არეოპაგიტული მოძღვრების ჩამოყალიბებისათვის. უდავოა, წერს ე. ჰონიგმანი, რომ ქ. გაზა წარმოადგენს ამ დროს „ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრს“, სადაც „ყოველივე იმდენადაა „ატიციკრებული“, რომ თვით ათინელები მოდიოდნენ აქ, რომ შეესწავლათ პლატონის ენა. პეტრე იბერსა და იოანე ლაზს შეეძლოთ ეწერათ ატიკურ ენაზე თავისი მისტიკური თხზულებანი, ისე, რომ არ დაძრულიყვნენ ადგილიდან“**.

* ე. ჰონიგმანი, დასახ. თხზ. გვ. 52.

** იქვე, გვ. 53, 54—55.

დასასრულ, საყურადღებოა ე. ჰონიგმანის ერთ-ერთი მოსაზრება, რომელიც არეოპაგიტული თხზულებების სტილით არის ნაკარნახევი. ამ სტილის თავისებურებამ ერთ-ერთ მკვლევარს — ო. ბარდენჰევერს მისცა საბაბი ეთქვა, რომ არეოპაგიტული წიგნები „მეტყველებენ, ასე ვთქვათ, უცხოელის ენით“. ამ დაკვირვების საფუძველზე ე. ჰონიგმანი აყენებს კითხვას: ხომ არ შეიძლება ფსევდო-დიონისეს ენის ეს თავისებურება იმით აიხსნას, რომ მათი ავტორი, ანდა უფრო სწორად ავტორები, სინამდვილეში უცხოელები იყვნენ*.

ე. ჰონიგმანის გამოკვლევის გამოქვეყნებამ** არაჩვეულებრივი გამოხმაურება გამოიწვია დასავლეთში, ერთ-ერთმა რეცინზენტმა ე. ჰონიგმანის დასკვნას „განსაცვიფრებელი აღმოჩენა“ უწოლა***, ხოლო ცნობილი ბიზანტინისტის ფრ. დოლგერის აზრით, თუმცა ჰონიგმანის ყველა დებულება არ არის თანაბრად დამაჯერებელი, მაგრამ „თავისი დაკვირვებით ჰონიგმანმა გადაწყვიტა ისეთი საკითხი, რომელიც დიდი ხანია მეცნიერებას აწვალებდა (vexieren)“****.

რამდენიმე ხნის შემდეგ დასავლეთის მეცნიერება დარწმუნდა, რომ ამ „განსაცვიფრებელი აღმოჩენის“ პრიორიტეტი ქართველ საბჭოთა მეცნიერს შალვა ნუცუბიძეს ეკუთვნოდა და ეს აღმოჩენა შევიდა მეცნიერებაში ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის სახელით.

ამ თეორიას ყავს მრავალი მომხრე. მან დადებითი გამოხმაურება გამოიწვია თავიდანვე, სანამ ეს თეორია მხოლოდ შ. ნუცუბიძის სახელით იყო ცნობილი საბჭოთა მეცნიერთა შორის. გარდა ლ. მელიქსეთ-ბეგისა, აღსანიშნავია ნ. ა. სიდოროვა***** და პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, რომლებმაც ამ თეორიას თავიდანვე ენერგიულად დაუჭირეს მხარი.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ე. ჰონიგმანის გარდაცვა-

* ე. ჰონიგმანი, დასახ. თხზ. გვ. 55.

** E r n. H o n i g m a n n, Pierre l'berien et les écrits du Pseudo-Denys l' Areopagite. Bruxelles, 1952.

*** La nouvelle, Clio, 4, 1952, გვ. 308—311.

**** Byzantinische Zeitschrift, 1953, 46 B. H. 2, გვ. 445.

***** об. Очерки по истории ранней городской культуры во Франции, 1953, гв. 341.

ლების შემდეგ, ამ თეორიის დაცვა წარმოადგენს შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ უბანს. ერთი ნაშრომი ამ საკითხს მან 1957 წელს მიუძღვნა,* ხოლო მეორე — «Петр Ивер и античное философское наследие», გამოქვეყნდა 1963 წელს. ეს არის ფუნდამენტური გამოკვლევა (მოიცავს 490 გვერდს), რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ სხვადასხვა ავტორების შეხედულებათა კრიტიკულ შეფასებას, არამედ საკუთარი არგუმენტაციის შემდგომ გაღრმავებას. ამავე დროს გამოკვლევა წარმოადგენს არეოპაგიტული მოძღვრების ისტორიულ-ფილოსოფიური მნიშვნელობის შემდგომ დასაბუთებას, იმ როლის შეფასებას, რომელიც პეტრე იბერმა (როგორც არეოპაგიტული მოძღვრების ავტორმა) შეასრულა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისებისა და ამ მემკვიდრეობის შუა საუკუნეებისათვის გადაცემის წინაშენელოვან საქმეში.



მეტად მრავალმხრივია შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. ფართოა მისი კვლევის არე ქართული კულტურის ისტორიის საკითხებში. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა პალესტინაში აღმოჩენილი ქართული მონასტრის წარწერებს და გამოთქვა აზრი, რომ ამ მონასტრის მშენებლობა პეტრე იბერის სახელთან არის დაკავშირებული. შევეხები მოკლედ შ. ნუცუბიძის ინტერესს ქართული „ბალავარიანისადმი“ და მის მონაწილეობას ამ საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიო მეცნიერებაში წარმოებულ დისკუსიაში.

ცნობილია ბერძნული „ვარლაამისა და იოდასაფის რომანის“ მნიშვნელობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. ეს თხზულება წარმოადგენდა ერთ-ერთ საყვარელ საკითხავს და ვრცელდებოდა ბერძნული და ბერძნულიდან შესრულებული ლათინური თარ-

* Петр Ивер и проблемы ареопагтики (после смерти Хонигмана), დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში. ტ. 65, 1957 წ; გვ. 265—326.

გმანის სახით შუა საუკუნეების დასავლეთში. არსებობს ამ რომანის რუსული, გერმანული, ფრანგული და პროვანსული თარგმანები და გადამუშავებანი. შედგენილი იყო მისი იტალიური რედაქცია. გერმანული რედაქციიდან წარმოიქმნა მისი შევლური ხალხური თქმულება და ისლანდიური საგა. მისი ლათინური თარგმანიდან შესრულდა ესპანური თარგმანი, მოგვიანებით გაჩნდა ჩეხური და პოლონური თარგმანები.

აღმოსავლეთში არსებობდა არაბული, ქართული, სომხური და სხვა რედაქციები.

ისტორიული ტრადიცია ამ თხზულებას მიაწერდა ქრისტიანული აღმოსავლეთის ცნობილ მოღვაწეს და მოაზროვნეს იოანე დამასკელს (VIII ს.).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ფრანგმა მეცნიერმა ზოტენბერგმა გამოაქვეყნა გამოკვლევა*, რომელშიც დაასაბუთა, რომ ეს თხზულება არ შეიძლება იოანე დამასკელს ეკუთვნოდეს. ზოტენბერგის დასკვნები იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მათ სრული აღიარება მოიპოვეს მეცნიერებაში. რაც შეეხება საკითხის პოზიტიურ მხარეს, ე. ი. გარკვევას იმისა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ხსენებული რომანის ავტორი, ეს გაურკვეველი დარჩა.

რუსმა მეცნიერმა ვ. როზენმა ზოტენბერგის გამოკვლევის გამოქვეყნებისთანავე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიაში, რომელიც გიორგი ათონელის მიერაა დაწერილი, მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ექვთიმე ათონელმა, სხვა წიგნებთან ერთად, „ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“ ბალავარიანის წიგნიც. ამ ცნობაზე დამყარებით და მეცნიერებაში არსებული მდგომარეობის მიხედვით, ვ. როზენი შემდეგ დასკვნებამდე მივიდა: 1) ეს რომანი შეიძლება არსებულებო ქართულ ენაზე უფრო ადრე, ვიდრე ბერძნულზე, და 2) ექვთიმეს შეეძლო იგი ეთარგმნა ბერძნულ ენაზე.

ეს ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება თანდათან იკიდებდა ფეხს მეცნიერებაში და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ამის დამადა-

* H. Z o t e n b e r g. Notice sur le livre de Barlaam et Joasaph. Paris, 1886, სერიაში: Notices et Extraits de la Bull. Nat. t. XXVIII, 1-6 partie.

სტურებელი ფაქტები დამატებით იქნა მიკვლეული. ერთ-ერთი უძველესი ბერძნული ხელნაწერი (XI საუკუნის შუა წლების წინა ხანისა), რომელიც ვენეციაში ინახება, „ბალავარიანის“ მთარგმნელად ქართულიდან ბერძნულ ენაზე ასახელებს ექვთიმე იბერიელს. ამავ ენობას იმეორებს XV საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერიც, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული. „წმიდა კაცს, ექვთიმეს“ მიიჩნევს ამ თხზულების ბერძნულ ენაზე მთარგმნელად აგრეთვე ენობა რომანის ლათინური თარგმანის ხელნაწერისა, რომელიც ბელგიელი მეცნიერის პაულ პეტერსის მიხედვით 1048 წელს უნდა იყოს შესრულებული*.

1953 წელს გამოქვეყნდა ფ. დოლგერის გამოკვლევა — „der griechische Barlaam-Roman—ein Werk des Johannes von Damaskos“, რომელშიც ავტორი ცდილობს დაარღვიოს დებულება ბერძნული რომანის ექვთიმესეული წარმომავლობის შესახებ და აღადგინოს ძველი, ზოტენბერგის მიერ უარყოფილი ტრადიცია. ფ. დოლგერის გამოკვლევით გამოწვეულ სამეცნიერო კამათში მრავალმა მეცნიერმა, მათ შორის ბეგრმა უცხოელმა ქართველოლოგმა მიიღო მონაწილეობა (მ. თარხნიშვილმა, ფრ. ჰალკენმა, დ. მ. ლენგმა, ბიდერმანმა, პ. მაზურილომ, ბ. ლაურდასმა და სხვ). მათ შორის ფ. დოლგერის შეხედულებას მხოლოდ ბიდერმანმა დაუჭირა მხარი. მაგრამ, შეიძლება ითქვას, არც ერთ მათგანს არ დაუთმია საკითხისათვის ისეთი ყურადღება, როგორც შ. ნუცუბიძეს. 1956 წელს, ზუსტად 70 წლის შემდეგ ზოტენბერგის გამოკვლევის გამოქვეყნებიდან, გამოვიდა შ. ნუცუბიძის «К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“

ამ ნაშრომში მოცემულია ვრცელი და საფუძვლიანი განხილვა ბერძნული რომანის ავტორობის საკითხისა თანამედროვე მეცნიერებაში. ახალი მონაცემების საფუძველზე და რიგ მეცნიერთა (ვ. როზენი, ნ. მარი, პ. პეტერსი, რ. ლ. ვოლფი, თრ. ჰალკენი, დ. მ. ლენგი და სხვ.) მოსაზრებების გამოყენებით, ავტორი იძლევა ფ. დოლგერის შეხედულებათა საფუძვლიანსა და მახვილ კრიტიკას. არ ტოვებს უყურადღებოდ დასავლეთის მეცნიერის, მეტი რომ არ

* „სიბრძნე ბალავარიანის“ ილ. აბულაძის გამ., 1937 წ. შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის შესავალი წერილით. გვ. XIII—XV.

ითქვას, ზერელე მოსაზრებებს, რომლებიც ძველი ქართული კულტურის უცოდინარობით არის განსაზღვრული და მეცნიერული მსჯელობისათვის შეუფერებელია: „ფრ. დრლგერმა მკვლევართი აღადგინა დასავლეთის მეცნიერების სამწუხარო წარსულიდან ისეთი არგუმენტები, რომლებიც, მაშინდელი დროის მიხედვით, შეიძლებოდა პატრიბოდა ზოტენბერგს, კუნს და სხვ: მაგრამ დაუშვებელია სერიოზული მეცნიერული წერისათვის დღევანდელ დღეს“*.

მაგრამ შ. ნუცუბიძის გამოკვლევის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოდ იმ დებულების დაცვით, რომ ბერძნული რომანი ქართული „ბალავარიანის“ საფუძველზე შექმნილი თხზულებაა, ხოლო მისი ავტორი ექვთიმე იბერი. შ. ნუცუბიძის შრომის უფრო დიდი ნაწილი ეხება საკითხს — ვინაა ამ რომანის თავდაპირველი რედაქციის ავტორი.

დიდი ერუდიციითა და ფართო კვლევითი აპარატის გამოყენებით დაწერილი ეს გამოკვლევა მიზნად ისახავს დაასაბუთოს. რომ „ბალავარიანის“ თავდაპირველი რედაქციის ავტორი არის VII საუკუნის საბას ლავრის ისტორიულად ცნობილი მოღვაწე, სულიერი მამა სოფრონ პალესტინელისა, იოანე მოსხი, რომლის სახელწოდება მიუთითებს მის მოსხურ (მესხურ) წარმომავლობას.

ჯერ კიდევ ზოტენბერგი, როდესაც ეხებოდა ბერძნული რომანის პირველი ჩაწერის და მასთან დაკავშირებული პირის გარკვევის საკითხს, მიუთითებდა, როგორც მისი გადაწყვეტის შესაძლებელ, „საალბათო“ ვარიანტს, იოანე მოსხზე, როგორც ამ რომანის პირველ ავტორზე. მაგრამ ორი მოსაზრება, რომლებიც მას უტყუარად მიაჩნია, გამორიცხავდა ასეთ შესაძლებლობას. ეს მოსაზრებანი ეხებოდა მოსხის ბიოგრაფიის ერთ დეტალს (მის გარდაცვალებას) და მოსხის ცნობილი თხზულების „ლიმონარის“ (დაცულია მისი ქართული თარგმანი X საუკუნის ხელნაწერებში სათაურით „სამოთხე“) დაბალ-იდეურ მხატვრულ ღირსებებს. ფრ. დოლგერმა ზოტენბერგის ორივე მოსაზრება გაიზიარა, რადგან იოანე მოსხის ავტორობის გამორიცხვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას მისი თეზისის დასაბუთებისათვის.

შალვა ნუცუბიძის ხსენებულ გამოკვლევაში კრიტიკულადაა

* დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

განსილული დიდი მასალა, რომელიც სცელის ზოტენბერგის წარ-
მოღვევას ბიოგრაფიულ დეტალებზე. და, რაც მთავარია, სცელის
მის გაგებას „ლიმონარის“ იდეურ-მხატვრული ღირსებებისა.
„ვერც ქრონოლოგიის საკითხებში, ასკენის შ. ნუცუბიძე; — ვერც
იოანე მოსხის შრომის „ლიმონარის“ მეცნიერულ-ლიტერატურული
მნიშვნელობის საკითხში, ზოტენბერგმა ვერ მოახერხა დამდგა-
რიყო მეცნიერულ საფუძველზე“*.

ვრცელი და დეტალური ანალოგიებით, როგორც იდეურ, აგრე-
თვე მხატვრული თვალსაზრისით, ავტორი ადგენს მსგავსებას „ლი-
მონარსა“ და „ბალავარიანს“ შორის და მიდის დასკვნამდე, რომ ამ
ორი თხზულების ავტორი ერთი და იგივე პირი, სახელდობრ, იოანე
მოსხი უნდა ყოფილიყო.

გამოკვლევის ერთ-ერთი თავი ეძღვნება ქართული „ბალავარია-
ნისა“ და ბერძნული რომანის ტექსტობრივ შედარებას და თავდება
დასკვნებით, რომელთა თანახმად ყველა ნიშნის მიხედვით ქართუ-
ლი „სიბრძნე ბალაჰვარისა“ უძველეს ვარიანტს წარმოადგენს; ბერძ-
ნული შესატყვისი ტექსტის შემდგომ განვითარებას, გავრცელებას
(გაფართოებას) და გაუმჯობესებას საფუძვლად უდევს ქართული
„სიბრძნე ბალაჰვარისა“; ახალი იერუსალიმური ქართული ტექსტი
დგას ბერძნულთან უფრო ახლო, ვიდრე არაბულთან, და მაინც
ბერძნული არ არის ამ ტექსტის გადამუშავება**.

* * *

ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის შალვა ნუცუბიძეს რუს-
თველოლოგიაში. რუსთაველს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს
მის კვლევა-ძიებაში და არა მხოლოდ გენიალური შემოქმედის ფი-
ლოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევის თვალსაზრისით, არა-
მედ როგორც დიდ ჰუმანისტსა და პოეტს. თუ ადრე შენიშნული
ანალოგიები შოთა რუსთაველსა და დასავლეთის ჰუმანისტებს შო-
რის არ დარჩა ზოგად განცხადებად და საყოველთაოდ იქნა აღიარ-
ებული, ეს, პირველყოფისა, შ. ნუცუბიძის დამსახურებაა.

* დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

** * შტრ. Sch. I. N u z u b i d s e, Zur Entstehung des griechischen
Romans „Birlaam und Juasaph“. ნაშრომის ვრცელი ანოტაცია მოთავსებულია
გერმანულ ორგანოში: Bibliotheca Classica orientalis. Heft 4, 1959. Akade-
mie-Verlag, Berlin, გვ. 247.

შალვა ნუცუბიძის ყურადღება არასოდეს არ შენელებულა რუსთაველისადმი. მისი გამოკვლევები და მრავალრიცხოვანი ცალკეული სტატიები ეხებოდა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ზოგად, კარდნალურ საკითხებს, ისე ცალკეულ დეტალებს.

შ. ნუცუბიძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან, რომლებიც რუსთაველს ეხება, 1958 წელს გამოსული „რუსთაველის შემოქმედება“* წარმოადგენს საკითხის მონოგრაფიულ განხილვას, რომელშიც რუსთაველის შემოქმედების მრავალმხრივი ანალიზია მოცემული. მკვლევარის პოზიცია მიმართულია რუსთაველის შემოქმედების ადგილობრივი, ქართული წანამძღვრებისაკენ, რომლებიც წარმოადგენს რთულ კულტურულ კომპლექსს და გულისხმობს როგორც საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გარკვევას, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების დადგენას. გამოკვლევის ის ნაწილი, რომელიც ეხება რუსთაველის შემოქმედების საწყისებს, გულისხმობს მათ თვითმყოფადობასა და ქართულ წარმომავლობას**.

„ვეფხისტყაოსნის“ საწყისები, შ. ნუცუბიძის მიხედვით, სამი მიმართულებითაა უმთავრესად საძიებელი. თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა ცალკეული მომენტები, რომლებიც ასრულებენ პოემის ფორმირების მომენტში გარკვეულ, და ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვან როლს და სცილდებიან ავტორის საძიებელ ფარგლებს. „ფართო მნიშვნელობით — წერს ავტორი — რუსთაველის პოემა მზადდებოდა ქართული ხალხური შემოქმედებითაც, და ქართული ფილოსოფიის ისტორიითაც ლიტერატურულ წინამორბედებთან ერთად“***.

რუსთაველის საწყისების სწორად კვლევა საჭიროებს თვით საწყისის სწორ გაგებას და შესაბამისად მისი დადგენის გზას.

რუსთაველის პოემის ხალხურობა ძალიან დიდი პრობლემაა, რომელიც, როგორც ავტორი შენიშნავს, თავის მკვლევარს ელის. მაგრამ კვლევა ვერ მიაღწევს სასურველ შედეგებს, თუ პოეტის ხალხურობა გაგებულ იქნება როგორც მისი შემოქმედების გენეზისი ხალხური პოემიდან*. „ხალხურობა, როგორც პოეზიის სა-

* Ш а л в а Н у ц у б и ძ ე, Творчество Руставели, Тбилиси, 1958.

** იქვე, გვ. 51.

*** იქვე, გვ. 47—48.

წყისი საერთოდ, და ამ შემთხვევაში რუსთაველის პოემის საწყისი, კი არ იხსახება, არამედ შემოქმედებითად აღიქვება პოემის შემქმნელის მიერ პოემის, როგორც სიუჟეტური მთლიანის აგების გზებისა და სურსების მსატვრელი ამოცანის გადაწყვეტის დროს. პოემა წარმოადგენს სიუჟეტურ მთლიანს, იგი შედგება ცალკეული, ერთეული მომენტებისაგან, რომლებიც განზოგადდებიან არა ნაკლებ, ვიდრე განზოგადდებიან სინამდვილას მოვლენები მათი მეცნიერული შესწავლის პროცესში“ **.

მაგრამ მსატვრულ შემოქმედებაში ხდება სინამდვილის რეპროდუცირება ისე, რომ ის არ წყდება კონკრეტულს, და „ცოცხალი ზოგადი“ არა ნაკლებ მდიდარია ერთეულზე და ინდივიდუალურზე.

ამიტომ ხალხური საწყისების გამოვლენა „ვეფხისტყაოსანში“ მისი მხოლოდ ცალკეული, თუნდაც დიდი ფრანგმენტების განხილვით, ნიშნავს ვერ მისწვდეს ხალხური შემოქმედების წარმმართველ ძალას პოემის, როგორც მთლიანის, აგებაში. შეუძლებელია ხალხურობის ცალკეული ნაკადების დადგენა ერთმანეთისაგან მოწყვეტით. შ. ნუცუბიძის სიტყვით „ხალხურობა წითელ ზოლად გასდევს მთელ პოემას“. ის ჩანს პოემის აღნაგობაში, დასაწყისსა და დასასრულში, ვლინდება ცალკეულ დეტალებში. მკვლევარი იძლევა ამ ცალკეული დეტალების ანალიზს. ქართული ხალხური ზღაპრის გარეგანი ფორმის ელემენტები რუსთაველთან ცვლილებებს განიცდის და არ შეიძლება არ განიცადოს. მაგრამ მთავარი, რაც რუსთაველის პოემაში იპყრობს ყურადღებას ხალხურობის თვალსაზრისით, ისაა, რომ პოემაში დაცულია ქართული ზღაპრის ოპტიმიზმი.

პოემის მეორე საწყისს წარმოადგენს ქართული ფილოსოფიური აზროვნება, რომელსაც, როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროს, ქვევით შევხებით.

რუსთაველის შემოქმედების მესამე საწყისი ლიტერატურული ძეგლებია. კავშირი რუსთაველისა ლიტერატურულ წინამორბედებთან, აღნიშნავს შ. ნუცუბიძე, უფრო პირდაპირია და ხელშესახები, რადგანაც, უნდა ვიფიქროთ, „ვეფხისტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული ძეგლი, შემოქმედების იმ დარგს ეკუთვნის, რომე-

• Ш а л в а Н у ц у б и д з е, Творчество Руставели, გვ. 44.

•• იქვე, გვ. 49.

ლიც ერთგვაროვანია ლიტერატურული წინამორბედების შემოქმედებით სფეროსთან. რუსთაველის ლიტერატურული საწყისები მკვლევარს დანაწილებული აქვს „თვით ავტორის (რუსთაველის) ჩვენებისა და ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით * სამ ჯგუფად: რუსთაველის წინამორბედები, რომლებსაც თვით პოეტი მიუთითებს; ცალკეული სახეები და პერსონაჟები სხვა ლიტერატურული ძეგლებიდან; და პოემის ლიტერატურულ კომპოზიციაში შესული ლიტერატურული ელემენტები გამოკვლევაში მოცემულია თითოეული ამ ჯგუფის ვრცელი მიმოხილვა.

შალვა ნუცუბიძის კვლევა-ძიებაში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ საწყისებს ეხება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წარმომავლობის საკითხს. მაგრამ ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული და განსაზღვრულია რუსთაველის ჰუმანიზმით.

ანალოგიები რუსთაველსა და დასავლეთის ჰუმანიტებს შორის, როგორც ითქვა, ადრევე იყო გამოთქმული ზოგადი სახით. მაგრამ გარდა იმისა, რომ თვით ჰუმანიზმის არსის გაგება საჭიროებდა დაზუსტებას და, ამის შესატყვისად, „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსისადმი გარკვეულ მიდგომას, თვით ეს ანალოგიები მოითხოვდა დასაბუთებას.

ჰუმანიზმი დასავლეთის პროგრესული და საბჭოთა მეცნიერებისათვის არის, პირველ ყოვლისა, მიწიერი სინამდვილის ღირებულების გარკვეული, საკაცობრიო კულტურის განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან ეტაპზე ჩამოყალიბებული აღიარება და ადამიანში იმ გრძნობათა და მისწრაფებათა გამართლება, რომლებიც ამქვეყნიურისაკენ არიან მიმართულნი. ამ მნიშვნელობით ჰუმანიზმი წარმოადგენს ადამიანში ადამიანურის „აღმოჩენას“ და აღიარებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიყვარულისა და მეგობრობის გაგებას, მათზე არსებულ შეხედულებას შუა საუკუნეებსა და ჰუმანიზმში, რაც შუა საუკუნეების აზროვნებას დაუპირისპირდა. „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისას მეგობრობისა და სიყვარულის მნიშვნელობა იმითაცაა განსაზღვრული, რომ ის-

ინი პოემის ძირითად მოტივებს წარმოადგენენ. თუ როგორ ესმის რუსთაველს ხსენებული ადამიანური გრძნობები, ეს რუსთაველოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს; იგი იძლევა გასაღებს რუსთაველის ჰუმანიზმის გასაგებად.

ზეცისა და მიწის დუალიზმმა შუა საუკუნეების აზროვნებაში წამოჭრა და განსაზღვრა ძველი, პლატონის მიერ დასმული მიწიერი და ზეციური ვენერას კითხვის თავისებური გადაწყვეტა. ზეციური ვენერა ისევე დარჩა გათიშული მიწიერი ვენერასაგან, როგორც ზეცა მიწისაგან. უფრო მეტიც, როგორც ჰუგო ჰუპერტი შენიშნავს, ეს პრობლემა გადაუწყვეტელი აღმოჩნდა პეტრარკასა და ფლორენციის აკადემიის წარმომადგენლებისთვისაც. მათ ვერ დაძლიეს სხეულის, ამქვეყნიურისა და სამყაროს პრობლემა. „მიწიერი ვენერა იყო უცხო და დარჩა უცხოდ ზეციური ვენერასი იტალიური რენესანსის დროს“*.

მიწისა და ზეცის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის გრძელ, ისტორიულ გზაზე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუსთაველის ჰუმანიზმსა და მის ფილოსოფიურ საფუძველს.

ამ პრობლემას შ. ნუცუბიძე ადრევე შეეხო და რუსთაველის პროლოგის სტროფების საფუძველზე, რომლებიც რუსთაველოლოგიაში დიდად საკამათოა, გარკვეულ დასკვნამდე მივიდა.

უქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საკირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თობამცა კჳონდა მრავალთა წყენათა.
მას ერთსა მიჯნურობასა კჳვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან,
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან,
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ შორით ბნდებიან.

ამ სტროფებში შ. ნუცუბიძე სამართლიანად ხედავს რუსთაველის მისწრაფებას — გააერთიანოს მიწიერი და ზეციური ვენერა. ხოლო მთელი პოემისა და რუსთაველის მთლიანი მსოფლმხედველობის შესწავლის საფუძველზე მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსთაველთან არსად არაა გათიშული ზეცა და მიწა; ზეცა,

* Schota Rustaweli, Der Recke im Tigerfell, ჰუგო ჰუპერტის თარგმანი, ბერლინი, 1955. გვ. 25.

როგორც ამალღებულის, ბედნიერებისა და სიყვარულის სიმბოლო და მიწა, როგორც ამ ბედნიერებისა და სიყვარულის ამქვეყნად მიღების სიმბოლო. „ამ სინთეზში, ამ ერთიანობაშია მიწიერ სიკეთეთა პოეტური განხორციელების სიღიადე რუსთაველთან“ *.

„ამ სინთეზში“ მოცემულია რუსთაველის მსოფლმხედველობის დედააზრი და ამის დადგენით მოძებნილია დასაყრდენი იმ ფილოსოფიური მოძღვრების გასარკვევად, რომელიც უნდა წარმოადგენდეს რუსთაველის წყაროს.

შალვა ნუცუბიძე იცავს და აღრმავენს თეორიას, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს ქართული ნეოპლატონიზმი წარმოადგენს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ შ. ნუცუბიძეს ამ დებულებას დაცვა ძალიან რთულ ვითარებაში მოუხდა. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა მეცნიერების მიერ სრულიად უგულებელყოფილი იყო არეობაგიტული მოძღვრება. კერძოდ, ქართულ მეცნიერებაში არავის მიუქცევია ყურადღება იმ მნიშვნელოვანი ფაქტისათვის, რომ შოთა რუსთაველი ერთ-ერთ სტროფში (1937 წლის აკად. გამოცემის მიხედვით სტრ. 1492) თვითონ მიუთითებს დიონისე არეობაგელზე („დივნოსზე“), როგორც ავტორზე მოძღვრებისა სიკეთის სუბსტანციულობის შესახებ, ე. ი. როგორც იმ იდეის ავტორზე, რომლითაც გამსჭვალულია მთელი „ვეფხისტყაოსანი“.

რაც შეეხება ნეოპლატონიზმს, ამ უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვან მოძღვრებას, მის შესახებ გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, გაბატონებული იყო ერთადერთი შეხედულება, რომლის მიხედვითაც მონათმფლობელური საზოგადოების დაქვეითებისა და „დაშლის, დაკნინების“ გზაზე მდგარი ფილოსოფიის დამახასიათებელმა თავისებურებებმა სწორედ ნეოპლატონიზმში მიიღო „თავისი ყველაზე უფრო მკვეთრი გამოხატულება“. „ნეოპლატონიზმი ანტიკური ფილოსოფიის დაშლისა და ვულგარიზაციის საბოლოო პროდუქტია, ამავე დროს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური წყარო შუა საუკუნეების თეოლოგიისა. ეკლექტიკა, მისტიკა, ჰოფისტიკა ყველაზე უფრო კონცენტრირებულად წარმოდგენილია სწორედ ნეოპლატონიზმში“ *. ამგვარი შეფასება ნეო-

* Руставели и Восточный Ренессанс, 1947, гл. 244.

პლატონიზმისა არ იყო უცხო ქართული მეცნიერების წარმოშად-
გენელთათვისაც.

ცხადია, ამგვარად გაგებული ნეოპლატონიზმი არსებითად ეწი-
ნაღმდებება რუსთაველის პოემის იდეურ შინაარსს, მის ჰუმანი-
ზმს. მისი მსოფლმხედველობის პროგრესულ მნიშვნელობას და
თუ მეცნიერება ამგვარად შეაფასებდა ნეოპლატონიზმს, შოთა რუს-
თაველის მსოფლმხედველობაში ნეოპლატონისტური იდეების ძიე-
ბა წინასწარ იყო განწირული. მაგრამ ნეოპლატონიზმის ამგვარი
შეფასება უკიდურესად ცალმხრივია და არ იძლევა იმ ანტიკური ფი-
ლოსოფიური მიმდინარეობის სწორ ისტორიულ შეფასებას, რო-
მელიც დასავლეთის ფილოსოფიაზე ინტენსიურ ზემოქმედებას ახ-
დენდა თითქმის ათასი წლის მანძილზე. საბჭოთა მეცნიერების
უკანასკნელი წლების მთელ რიგ ნაშრომებში** ნაჩვენებია ნეო-
პლატონიზმის პროგრესული მნიშვნელობა ფილოსოფიური აზრო-
ვნების განვითარებაში და კერძოდ ამ მოძღვრების როლი პანთე-
ისტური კონცეფციების ჩამოყალიბებაში.

განსაკუთრებით საგრძნობი იყო ნეოპლატონიზმის ამგვარი შე-
ფასების შემაბრკოლებელი ზეგავლენა ქართულ საბჭოთა მეცნიე-
რებაში, რომლის კვლევის ძირითად საგანს ქართული ნეოპლატო-
ნიზმი წარმოადგენდა. რომ ნეოპლატონიზმი შუა საუკუნეების სა-
ქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული და მნიშვნელოვანი
ფილოსოფიური მოძღვრებაა, ეს ცხადი იყო და განსაკუთრებით
ცხადია დღეს; ნეოპლატონისტური ფილოსოფიის ძლიერი ნაკადი
XI—XII სს.-ის საქართველოში უტყუარი ფაქტია. ასეთ ისტო-
რიულ ვითარებაში ამ მოძღვრების მნიშვნელობის შეუფასებლობა
ძლიერ დაბრკოლებას უქმნიდა საერთოდ ქართული აზროვნების
მეცნიერულ შესწავლას და კერძოდ რუსთაველის მსოფლმხედვე-
ლობის კვლევა-ძიებას წყვეტდა რეალურ საფუძველსა და საიმედო
საყრდენს. შეიძლება მეტიც ითქვას: გზას უხსნიდა „ვეფხისტყაოს-

* История философии, под ред. Г. Ф. Александрова, Б. Э. Быховско-
го, Б. М. Митина, И. Ф. Юдина, I, 1940, гл. 371.

** შტრ. В. В. Соколов, К исторической характеристике пантеизма,
журналში «Философские науки», № 4, გვ. 77—87; მისივე, Очерки фило-
софии эпохи Возрождения, Москва, 1962; А. Гулыга, У истоков ма-
териализма и атеизма. შესავალი წერილი ქერმან ლეის Очерки по
истории средневекового материализма, რუსული გამოცემისა, მოსკოვი 1962 წ.

ნის“ იდეური შინაარსის თეოლოგიასთან დაახლოების, ქართულ მეცნიერებაში არსებულ, ტენდენციას.

შალვა ნუცუბიძე შეიძლება ერთადერთი საბჭოთა მეცნიერია, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თანმიმდევრულად იცავს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ნეოპლატონიზმი შეიცავს პროგრესულ იდეებს; ამის გამო ამ მოძღვრების უტყუარი ნიშნები „ვეფხისტყაოსანში“ არ უქმნის მას მეთოდოლოგიურ დაბრკოლებას ნეოპლატონიზმის კვალის შემდგომი ძიებისა, დასაბუთებისა და ახსნის მიმართულებით.

ნეოპლატონიზმის, კერძოდ, ქართული ნეოპლატონიზმისა და „ვეფხისტყაოსნის“ კვლევამ შ. ნუცუბიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნეოპლატონიზმი შეიცავს პრინციპული ხასიათისა და მნიშვნელობის პროგრესულ იდეებს; და რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საწყისს ქართული ნეოპლატონიზმი წარმოადგენს.

შ. ნუცუბიძის შეხედულებანი რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროების შესახებ, მისი კვლევა-ძიების დასაწყისში ახლოს იდგა მეცნიერებაში გამოთქმულ, კერძოდ ნ. მარის, შეხედულებებთან, რომლებმაც გარკვეული დადებითი როლი შეასრულა.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ეს კვლევა-ძიება შემოფარგლული იყო ფილოლოგიური და ლიტერატურული ჩარჩოებით, დასკვნები რუსთაველის ფილოსოფიურ შეხედულებებზე დამყარებული იყო პოემის ცალკეულ სტროფებზე და მოქცეული ცალკეული ანალოგიების ფარგლებში. რუსთაველზე ნეოპლატონიზმის გავლენის შესახებ მსჯელობას არ მოეპოვებოდა ფართო საფუძველი, რომ საკითხი დასმულიყო და გადაჭრილიყო რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის როგორც მთლიანის შესახებ.

ნ. მარმა, როგორც შ. ნუცუბიძე წერს, „სცადა პოემის ზოგიერთი ადგილის საფუძველზე დაედგინა მისი ფილოსოფიური სურათი. კვლევის საგნის თავისებური ხასიათის გამო მან ვერ მიაღწია რისკენაც მიდიოდა, მაგრამ იმ საერთო სიტუაციის ცოდნით, რომელშიც რუსთაველის მოღვაწეობა მიმდინარეობდა და ინტუციის

არაჩვეულებრივი ძალით, იგი სწორ შედეგებამდე მივიდა; მეთოდს, რომელსაც მისდევდა ნ. მარი... არ შეეძლო მეტი მოეცა“*.

რუსთაველის მსოფლმხედველობისა და კერძოდ, ფილოსოფიური წყაროების კვლევა, უფრო ფართო საფუძველს მოითხოვდა, ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მთლიანობის, განხილვა.

შალვა ნუცუბიძის უდავო დამსახურებაა, რომ მან გაათავსა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების შესწავლის ფარგლები, კერძოდ, „ქართული ნეოპლატონიზმისა“. ეს შესწავლა წინ წავიდა და გაღრმავდა. შესატყვისად გაათავსდა საკითხი რუსთაველის მიმართებისა ამ ფილოსოფიურ მიმდინარეობასთან. შ. ნუცუბიძის ღვაწლია, რომ არეოპაგიტულმა მოძღვრებამ თავისი ადგილი დაიჭირა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში და, კერძოდ, რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის საწყისების საკითხში. ამასთან, საფუძველი შეიქმნა ერთ-ერთი ქართველი თვალსაჩინო ფილოსოფიური მოღვაწის, ეფრემ მცირის როლისა და მნიშვნელობის ნამდვილი შეფასებისა ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

უკვე ორმოციანი წლების დასაწყისიდან შ. ნუცუბიძის ყურადღების მთავარ საგანს და მისი რუსთაველოლოგიური თეორიის ძირითად დასაყრდენს არეოპაგიტული მოძღვრება წარმოადგენს. ავტორის ძირითადი შეხედულებანი ამ მიმართულებით გამოთქმულია ნაშრომებში: «Руставели и Восточный Ренессанс» (პირველი გამოცემა 1947, მეორე — 1967) და «Творчество Руставели» (1958).

როგორც შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა არაა მოცემული „ცალკეული ხაზების სახით“, რომლებიც შეიძლება დამოუკიდებლად იქნენ შესწავლილნი. რუსთაველის ფილოსოფიური იდეების გარკვევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა იმდენად „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილები, რომლებშიც ძალიან ხშირად მოცემულია მნიშვნელოვანი სიტუაციების ფილოსოფიური გაცნობიერება, რამდენადაც პოეტის მსოფლგაგება მთლიანად მისი განმსაზღვრელი გავლენით პოემის აღნაგობასა, მისი სიუჟეტის განვითარებასა და მიზანზე.

* Творчество Руставели, გვ. 84.

რუსთაველის მსოფლგაგება განსაზღვრავს პოემის შინაარსს, რომელიც სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც არის და ამბავთა მსვლელობაც პოემაში სწორედ ისე უნდა განვითარებულიყო, როგორც ვითარდება.

ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებულ იქნეს ერთმანეთისაგან ერთი მხრივ ფილოსოფიური შეხედულებანი, რომლებიც ცალკეული სიტუაციების ნათელყოფას წარმოადგენს და მეორე მხრივ პოეტის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც ჩაქსოვილია პოემაში, როგორც მთლიანში. მკვლევარი ფიქრობს, რომ „მთლიანის“ ცნება პოულობს სავსებით ზუსტ ფილოსოფიურ მნიშვნელობას და ამ ცნების მიხედვით არის მოაზრებული პოემის იდეა, მისი მიზანსწრაფვა და, მაშასადამე, სიუჟეტიც.

„ვეფხისტყაოსნის“ ანალიზი ამ თვალსაზრისით საფუძველს აძლევს ავტორს დაასკვნას, რომ რუსთაველის პოემა „ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურის ფილოსოფიურ პოემათა რიცხვს“. მაგრამ იგი „ფილოსოფიურია არა თემატურად, არა იმიტომ, რომ მას საფუძველად უდევს რომელიმე, თუნდაც მაღალი ფილოსოფიური იდეა“, არამედ იმიტომ, რომ რუსთაველის პოემა „აგებულია გარკვეულ მსოფლგაგებაზე, ამასთან ეს მსოფლგაგება აღებულია სავსებით დამთავრებული სახით და როგორც „მთლიანი“, დადებული მის საფუძველად, განსაზღვრავს პოემის სიუჟეტს“*.

ძველი მეთოდისაგან განსხვავებით, შ. ნუცუბიძე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ფილოსოფიურ დებულებებს „ვეფხისტყაოსანში“, რომლებიც ასრულებენ როლს „მოვლენათა და ამბავთა სიუჟეტური მსვლელობის გამოსახვის ან მათი ახსნის დროს“**. და, ბუნებრივია, მკვლევრის ყურადღებაც ამაზე უნდა გამახვილდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეას, რომელიც განსაზღვრავს მთელი პოემის „სიუჟეტურ მსვლელობას“, აძლევს პოემას მთლიანობას და გამოხატავს პოეტის მიზანს, წარმოადგენს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების იდეა. პოემის ფაქტობრივი მონაცემები ად-

* Творчество Руставели, გვ. 45, 46, 47.

** იქვე.

სტურებენ, რომ რუსთაველი არ კმაყოფილდება ამ იდეის მხოლოდ მხატვრული განსახიერებით, მისი მხოლოდ „ჩვენებით“. რუსთაველი დგას გარკვეული ფილოსოფიური მოძღვრების საფუძველზე, რომელიც ასაბუთებს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების შესაძლებლობას. ეს ფილოსოფიური მოძღვრება ნეოპლატონიზმია, რომელიც სიკეთისა და ბოროტების საკითხში ასაბუთებს დებულებას სიკეთის სუბსტანციალობის შესახებ. ეს დებულება გადმოდის შუა საუკუნეების ფილოსოფიურ აზროვნებაში, და კერძოდ, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ნეოპლატონიზმის პირველი გადამმუშავებლის ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) მეშვეობით, და პოულობს შემდგომ განვითარებას იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შემოქმედებაში.

შ. ნუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სიკეთის სუბსტანციალობის დებულება, ე. ი. დებულება, რომ ღმერთი არ შეიძლება იყოს ბოროტების „შემქმნელი“, გამოთქმულია როგორც თხრობის დასაწყის ნაწილში, როდესაც პოემის სიუჟეტური განვითარება იკვანძება, ისე პოემის იმ ნაწილში, როდესაც თხრობის მიზანი განხორციელებულია და ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან გამოხსნილია.

პირველ შემთხვევაში ეს დებულება გამოთქმულია თინათინის პირით:

„ჰე შეფო! რად ემღურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შექმნა კეთილისა შემოქმედსა!“ (სტრ. 113).

მეორე შემთხვევაში — პოეტის პირით:

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (სტრ. 1492).

ამგვარად, მთელი „ვეფხისტყაოსანი“ თითქოს „ჩასმულია“ ამ სტროფებს შორის, იგი იწყება და მთავრდება დებულებით სიკეთის რეალობაზე... „აბსოლუტური სიკეთის ფილოსოფია — წერს შ. ნუცუბიძე — შემთხვევით კი არ ამოტივტივდება სიუჟეტის განვითარების რომელიმე საფეხურზე, თავიდანვე არსებობს პოემაში როგორც მამოძრავებელი საწყისი, რომელიც მართავს მთელ სიუჟეტს და წარმართავს მას“*. სწორედ ეს მომენტი აუცხო ყმა-

* Творчество Руставели, გვ. 95.

სთან მეხვედრა, რამაც განაცვიფრა მნახველები და გამოიწვია როსტევანის კმუნვა. პოემის შემდგომი განვითარების კვანძი.

რაც შეეხება მეორე სტროფს, მასში იგივე იდეაა გამოთქმული. „როდესაც რუსთაველი უახლოვდება ამბავთა დასასრულს“ და მკითხველი „დრამატული დაძაბულობით“ მიჰყავს კვანძის კეთილ გახსნამდე. სწორედ აქ მიაჩნია რუსთაველს „მოზანშეწონილად მოგვეცეს სტროფი, რომელიც ნათელსა ჰქენს გრანდიოზულ გზისა და მომავალს“.

მაგრამ ამ სტროფში უფრო მეტია ნათქვამი და არა მხოლოდ „მოცემულია, მხატვრული სახის მოხმარებით არეო-ჰაგიტიკის მთელი ფილოსოფიური სისტემა“. აქ პირდაპირაა დასახელებული მოაზროვნე, „რომლის მოძღვრებასაც ის ემყარება: გვაცნობს მის ძირითად აზრს, „რომელმაც განსაზღვრა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური განვითარების მთელი მსვლელობა და დასასრული“*. „პოეტი მკვლევარის სიტყვით რომ ვთქვათ, თვითონ ეხმარება მკითხველს“ გაარკვიოს მოძღვრება, საიდანაც რუსთაველი ამოდის:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნის გააცხადებს:

ღმერთი კარგსა მოავლინებს“... და ა. შ.

დებულება, რომ ღმერთი მოუვლენს სამყაროს მხოლოდ სიკეთეს; არის, როგორც შ. ნუცუბიძე წერს, „პეტრე იბერის თეზისი სიკეთის აბსოლუტურობის შესახებ“ და ვინც საქმის ვითარებას იცნობს, არ შეიძლება არ დაეთანხმოს მკვლევარს ამ დებულების ჭეშმარიტებაში. ესაა თავისებური გამოხატულება დებულებისა, რომ „რეალობა სამყაროში ეკუთვნის მხოლოდ სიკეთეს“. ღმერთი, როგორც ასეთი, არ შეიძლება იყოს ბოროტების დამბადებელი“.

ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბოროტებას სამყაროში ადგილი არა აქვს. „ვეფხისტყაოსანი“ დადასტურებაა იმისა, რომ სიკეთის გზაზე პოემის გმირებს არა ერთი ბოროტების დაძლევა უხდებათ, მაგრამ ბოროტებას სუბსტანციალობა არ გააჩნია და იგი მხოლოდ სიკეთის კლებას წარმოადგენს. ამდენად სიკეთის ნაკლებობა ქმნის ბოროტების შესაძლებლობას, სწორედ ამიტომ სიკეთის სრულყოფა ბოროტების დაძლევას ნიშნავს.

* Творчество Руставели, გვ. 94.

** იქვე.

შალვა ნუცუბიძემ საბოლოოდ განამტკიცა რუსთველოლოგია-ში ნეოპლატონიზმის თეორია და მხოლოდ გაუგებრობაზე შეიძლება იყოს დამყარებული ამაში დაეკვება. ალ. ლოსევის სიტყვებო, რომ „ქართულ რენესანსს საფუძვლად ნეოპლატონიზმი უდევს“ და რომ „ეს უნდა დიდმნიშვნელოვან აღმოჩენად ჩაითვალოს“ — სარკველ ყოვლისა, რუსთაველს ეხება და „ვეფხისტყაოსნის“ დღევანდელი კვლევის მდგომარეობას ასახავს.



რუსთაველის შემოქმედების მეცნიერულ შესწავლასთან ერთად შ. ნუცუბიძემ მოგვცა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო რუსი მკითხველისა და რუსული მხატვრული სიტყვის ისეთი დიდი ოსტატის მხრივ, როგორც ალექსეი ტოლსტოი იყო. სამეცნიერო-კვლევითი და ლიტერატურულ-მხატვრული ამოცანის ერთდროულად დასახვა, როგორც სამართლიანად წერდა ალ. ტოლსტოი ძალიან ძნელია. მაგრამ ამავე დროს, „ეს გზა არის ყველაზე საიმედო, პროდუქტიული და, მე ვიტყვოდი იდეალური. სწორედ ამიტომ ის ყველაზე ძნელიცაა, რადგან მოითხოვს ისეთი მონაცემების შეერთებას, რომლებიც ძალიან იშვიათად გვხვდება“*. შ. ნუცუბიძემ დაძლია ეს ძნელი გზა და დიდ წარმატებასაც მიაღწია.

„მახსოვს, — იგონებს გ. ახვლედიანი, — შალვამ წინასწარ გვაჩვენა კოლეგებს ჯერ გამოუქვეყნებელი თავისი თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. ჩვენ ყველა გაგვაოცა თარგმანის ადეკვატურობამ ორიგინალთან და რუსული ლექსის სიმშვენიერემ. ივანე ჯავახიშვილმა, მახსოვს, თქვა: ამით ხომ რუსთველოლოგიის ნახევარია გაკეთებულიო. მახსოვს აგრეთვე, თუ როგორ განცვიფრდა დაუვიწყარი დიმიტრი უზნაძე და ჰკითხა შალვას — შენ ხომ არ შეცდი შენი შემოქმედების გზას არჩევანში, იქნებ დიდი პოეტის გზა უფრო შეგეფერებოდა, ვიდრე დიდი მეცნიერისაო?“.

შ. ნუცუბიძის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, ალ. ტოლსტოის სიტყვით, „არა მხოლოდ მეცნიერული შრომა, არამედ პოეტური შემოქმედებაა“. განსაკუთრებით სა-

* «Огонёк» 1966, № 38, გვ. 9.

ინტერესოდ მიიჩნია მას „მაღალი შაირის“ ნუცუბიძისეული გადმოცემა. რითმების მორიგეობით. რომელსაც მთარგმნელი მიმართავს, მან გადაჭრა დაქტილური სტრიქონების რუსულად გადმოცემის პრობლემა. ასეთივე ოსტატობით გადმოგვცემს შ. ნუცუბიძე „რუსთაველის“, ამ ლექსის ჯადოქარის, მთელ ორკესტრობას. ძნელია გამოტყობა, — განაგრძობს ალ. ტოლსტოი, — როგორ მოახერხა მთარგმნელმა გადმოეცა ცალკეული ბგერებისა და სიტყვების — ომონიმების პარმონიულობა. შ. ნუცუბიძის თარგმანსა და ძნელი იყო წარმოდგენა, რომ რუსულ ენაში არსებობს ესოდენ ფართო შესაძლებლობა ომონიმური რითმების გამოყენებისა. შ. ნუცუბიძის თარგმანმა დამარწმუნა მე რუსული ლექსის კოლოსალური სიფართოვეში“ *.

„რუსთაველის სტროფების მოზაიკური სტრუქტურა და რიტმიკული ქარგული სახე, — განაგრძობს ალ. ტოლსტოი, — გადმოგვცა მთარგმნელმა შეუდარებელი სილამაზით. რუსთაველის აფორიზმები უღერს ისე, რომ მათ სამუდამოდ ვიხსოვებთ“ **.

ალ. ტოლსტოი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რუსთაველის პოეტური მშვენიერება შ. ნუცუბიძის თარგმანში არსად არაა მოწყვეტილი მხატვრული შინაარსისაგან, „მთელი პოემის მანძილზე იგრძნობა, რომ ლექსთწყობის ოსტატობის შედეგები, პოეტური ქარგა რუსთაველს სჭირდება როგორც ფორმა იდეებისა“ ***.

ომონიმურ რითმებში ალ. ტოლსტოი ვულისხმობს ქართულ პოეზიაში გავრცელებულს და რუსულისათვის სრულიად უცხო მაჯამურ რითმებს, რომელთა გადმოცემა „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ შ. ნუცუბიძემ მოახერხა და, როგორც ქვევით მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, დიდი ოსტატობითაც:

Коль тебя достойно славить обладала бы я даром,
Я тебя, и смерть приемля, упрекать не буду даром,
Льву цветник из роз-агатов я возвращу лучистым Даром,
Вне тебя, клянусь светилом, я ничьим не буду даром (494).

* «Огонек». 1966, № 38, გვ. 9.

** იქვე.

*** იქვე.

Убежать в поля? Но можно ль от огня остаться целым?
Для стрелы открыто сердце, легким стало ей прицелом,
Сократилось время жизни, став в три раза меньше в целом,
Мне убежища от муки не найдется в мире целом (708).

Обнял царь его, лобзание оба лика осветило.

«Погасил огни мне, — молвит, — пламя в водах засветило,

Сквозь агатовую чашу тайну лика просветило,

Ты свой путь направить к рассвету, встретишь, лев, свое светило» .
(1534).

შ. ნუცუბიძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ მრავალ-
ჯერ გამოიცა, ყოველ გამოცემაში შეტანილია მეტ-ნაკლები შეს-
წორება, რომელთა მიზანს. მხატვრული და აზრობრივი ადეკვატო-
ბის სრულყოფა შეადგენს.

შალვა ნუცუბიძე არის აგრეთვე ავტორი ჩახრუხაძეს „თამა-
რიანისა“ და შავთელის „აბდულმესიას“ რუსული თარგმანებისა.
მკითხველისათვის ნათელია, რომ მთარგმნელის წინაშე ამ შემ-
თხვევაში არა ნაკლები სიძნელები არსებობდა, მაგრამ რამდენად
მაღალი ოსტატობით არის თარგმნილია რთულ ალიტერაციაზე და-
მყარებული „თამარიანის“ ლექსი, ამის ნათელსაყოფად მოვიტან
ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილ ადგილის თარ-
გმანს:

თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა ნარნარი, პირ მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი
წყალი მქნარი, მომღინარი.
ბიათვის ქნარი რა არს? ქნარი
არსით მოქნარი, უჩინარი.
ვარდ შამბნარი, შამბ მალნარი
ღაღ მჟყაზარი, შუქ მფინარი.

Лик Тамары — солнцу пары,
Отблеск ярый, голос — чары,
Видят твари стаи чинары.
Злата лары красят лавры.
Где-же чары равню яры?
Не из хмары льют литавры
Нам удары злобной кары —

დიდია შალვა ნუცუბიძის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის საქმეში. მისი კონსულტაციითა და დახმარებით არის შესრულებული ჰუგო ჰუპერტის გერმანული თარგმანი, სერგი წულაძის ფრანგული თარგმანი და ფუკუროს იაპონური თარგმანი.

ჰუგო ჰუპერტი „განსაკუთრებულ მაღლობას“ გამოსთქვამს შალვა ნუცუბიძის მიმართ „მრავალგვარი კონსულტაციური მონაწილეობისა“, და თანაგრძნობისათვის თარგმანის შესრულების დროს და აღნიშნავს, რომ თარგმანისადმი დართული შესავალი წერილისა და შენიშვნების შედგენის დროს ის სარგებლობდა შ. ნუცუბიძის გამოკვლევებით*.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი სერგი წულაძე ხშირად იყენებდა, როგორც წერს, შალვა ნუცუბიძის „ერუდირებულ რჩევებს და ძვირფას დახმარებას“ პოემის ქართული ტექსტის ინტერპრეტაციისა და შინაარსის განმარტების დროს წამოკრილ სიძნელეთა გადასაწყვეტად**.

* * *

1956 წ. (I ტ.) და 1958 წ. (ტ. II) გამოდის შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომეული (1960 წ. — რუსული თარგმანი ერთ ტომად). ორტომეული ვრცელი გამოკვლევაა, (მოიცავს ერთად 1100 გვერდს). რომელიც წარმოადგენს ავტორის მრავალწლიანი მუშაობის თავისებურ შეჯამებას და ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების სისტემატურ განხილვას.

* Чахрухадзе, Тамарнани, перевод с грузинского Ш. Нупубидзе, გვ. 115.

* Schota Rustaveli, Der Recke im Tiggerfell, Berlin, 1955, გვ. 31.

** Chota Roustaveli, Le chevalier à la peau de tigre, traduit du géorgien par Serge Tsuladse, 1966, გვ. 18.

როგორც ავტორი შრომის შესავალში აღნიშნავს, ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების არც აღმოსავლეთს ეკუთვნის, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთის კულტურა, აღმოსავლეთის აზროვნება წარმოადგენდეს დასავლეთისაგან მოწყვეტილს და მასთან დაპირისპირებულ მოვლენას*.

აღმოსავლეთის კულტურა არის ნაწილი ერთი მთლიანი საკაცობრიო კულტურისა, რომელშიც „ყოველ ერს — დიდსა თუ პატარას, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით თავისი საკუთარი, შეუსაცვლებელი ადგილი უჭირავს**“.

ეს ზოგადი დებულება ვრცელდება ქართულ კულტურასა და ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზეც.

რამდენადაც აღმოსავლეთის კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიული განვითარება განხილულია საკაცობრიო კულტურასთან მთლიანობაში, ცხადია, რომ აღმოსავლური, და კერძოდ ქართული, ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული განხილვა არ მოითხოვს განსაკუთრებულ „მეთოდოლოგიურ მიდგომას“. კვლევის მეთოდი, როგორც ავტორი შენიშნავს, ერთი უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის. ესაა საბჭოთა მეცნიერების მეთოდი, დიალექტიკურ-ისტორიული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ფილოსოფიის კავშირს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებასთან, სოციალურ კლასთა ინტერესებთან და წინააღმდეგობასთან. ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება წარმოდგენილია როგორც ბრძოლა პროგრესულ და კონსერვატორულ, მატერიალისტურ და იდეალისტურ მიმდინარეობათა შორის.

შ. ნუცუბიძის ქართული ფილოსოფიის ისტორია მოიცავს მრავალსაუკუნოვან განვითარებას უძველესი მითოლოგიური ეპოსიდან სოლომონ დოდაშვილამდე.

ქართულ მითოლოგიურ ეპოსს შ. ნუცუბიძემ ადრევე მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია „ამირანიანის“ საინტერესო და ღრმა ანალიზი, და ცალკეული დეტალების საფუძველზე, მისი წარმოქმნის დრო დაკავშირებულია კაცობრიობის

* ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 6.

** იქვე.

განვითარების გარკვეულ ეპოქასთან — რკინის ცივი კედლიდან წრთობაზე გადასვლის პერიოდთან.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული მითოლოგიის მოტივებს, რომლებშიც გამოხატულია ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლის იდეები. ამ იდეებში ავტორი ხედავს პროგრესული იდეოლოგიის პირველ მნიშვნელოვან გამოვლენას, და ბუნების ძალთა დაძლევისა და დამორჩილებას მითოლოგიურ ფორმაში. საყურადღებოა ამირანის ქართულ მითში ცეცხლის გამოყენების ფაქტი ადამიანის მიზნებისათვის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა კაცობრიობის განვითარებაში საერთოდ.

ქართველი ტომების მითოლოგიური წარმოდგენები განვითარების ადრინდელ საფეხურზე არაა ჯერ არც „მსოფლგაგების ასეთუ ისე გამოკვეთილი სისტემა და არც მეცნიერება“*. ქართული მითოლოგია როგორც ავტორი აღნიშნავს, ბერძნულზე უფრო ადრინდელია, და გასაგებია, რომ იგი ჯერ კიდევ არ გაცვილებია წარმოდგენების სფეროს და არ მისულა სინამდვილის შემეცნების, ფილოსოფიური განზოგადების საფეხურამდე. მაგრამ რამდენადაც მან მიაღწია სინამდვილის ასახვის მითოლოგიურ ფორმას, ეპოსს აქვს გარკვეული წინაფილოსოფიური მნიშვნელობა.

როგორც ავტორი წერს, „ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ გაიარა ძნელი გზა ბუნების წარმოსახვაში დაძლევიტ დაწყებული, როცა ეს აზროვნება ჯერ კიდევ შებოქილი იყო პრიმიტიული წარმობების ჩარჩოებით, და მიაღწია იმ საფეხურს, როცა აზროვნება გაიშალა ნამდვილ ძალად როგორც ბუნების დასაძლევადა, ისე მის გადასაქეთებლად“**.

ამ გზის მანძილზე ქართული ფილოსოფიური აზროვნება წარმოადგენდა, როგორც გარედან შემოსული ნააზრევის გადაძეშვებას საკუთარი ნიადაგის საფუძველზე, აგრეთვე „დამოუკიდებელი, საკუთარი სოციალურ-ეროვნული ვითარების იდეოლოგიურ ასახვას“. მაგრამ დაწყებული უძველესი დროიდან, საქართველო ხშირად განიცდიდა შემოსეგებსა და რბევას, რაც შეუძლებელს

* ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 14.

** იქვე, გვ. 35.

ხდის ქართული ფილოსოფიური აზროვნების „უწყვეტი განვითარების პერსპექტივის“ დადგენას.

მითოლოგიური, წინაფილოსოფიური პერიოდის შემდეგ ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარება მიმდინარეობს რამდენიმე საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში.

ავტორის მიერ მოცემული პერიოდიზაცია ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა შეიცავს ძირითად საფეხურებს: მონათმფლობელური ხანა, ფეოდალიზმის ხანა და კაპიტალიზმის ხანა. ფეოდალიზმის შიგნით განსხვავებულია ადრინდელი ფეოდალიზმი, ფეოდალური აბსოლუტიზმი და გვიანდელი ფეოდალიზმი.

ანტიკურ ხანას ეკუთვნის კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული და ფილოსოფიური სკოლა, რომელიც უნდა დაარსებულიყო ჩვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე, და ბაკურის მოღვაწეობა. ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხეთის უმაღლეს სკოლაში ბერძენ ფილოსოფოსთა თაობები სწავლობდა, ნათელყოფს საქართველოში არსებულ ფილოსოფიურ ტრადიციებს, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე უნდა შემზადებულიყო.

ანტიკური ხანა გრძელდება, ავტორის სიტყვით, მეექვსე-მეშვიდე საუკუნემდე და „მომეტებულად არის ეპოქა იმდროინდელ საქართველოში ფილოსოფიური განვითარების უწყვეტი მიმდინარეობისა“*. ამ პერიოდს ეკუთვნის პეტრე იბერი და სირიიდან საქართველოში დაბრუნებულ მოაზროვნეთა ჯგუფი (დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი და სხვ.), რომელსაც, ავტორის მიხედვით, იდეური კავშირი აქვთ პეტრე იბერის მოძღვრებასთან, ხოლო, რამდენიმე მაინც ამ მოღვაწეთა შორის უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული პეტრე იბერთან და სირიაში არსებულ ქართულ სკოლასთან.

შემდეგი პერიოდი ადრინდელი ფეოდალიზმი, რომელიც დაკავშირებულია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთგვარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ დეპრესიასთან. იდეოლოგიური თვალსაზრისით VIII საუკუნე საქართველოში უნდა ჩაითვალოს „საეკლესიო-დოგმატურ პერიოდად“, რომელიც ხასიათდება კავშირის გაწყვეტით ანტიკურ მემკვიდრეობასთან და აზროვნების დამოუ-

* ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1, გვ. 31.

კიდებლობის დაკარგვით. ეს ხანა გრძელდება თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში და აქ მთავრდება საეკლესიო აზროვნების დოგმატიზაცია.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების შემდგომი პერიოდი ემთხვევა მე-11 — 12 საუკუნეებს და წარმოადგენს ფილოსოფიური აღორძინების ეპოქას; რომელიც არაა „ნაკლებ მნიშვნელოვანი და ნაკლებ საინტერესო პერიოდი ქართული ფილოსოფიისა; ვიდრე ქართული ანტიკურობის ხანა მე-4 — 5 საუკუნისა“*. ეს პერიოდი განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობით, კერძოდ ახალი სავაჭრო პერსპექტივებით, რომელსაც, სხვა დადებით შედეგებთან ერთად, მოჰყვა საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცება ბიზანტიასთან.

ამ პერიოდის ქართულ კულტურაში ავტორი ხედავს რენესანსის უტყუარ ნიშნებს, რომლებმაც, როგორც ვნახეთ, მისცა მას საფუძველი აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემა დაეყენებინა. კერძოდ ფილოსოფიაში ეს რენესანსი და ჰუმანიზმი აისახა და შემდგომი ვალრმავება მოიპოვა ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის და რუსთაველის შემოქმედებაში, რაც წარმოადგენდა ქართული ანტიკურობის აღორძინებას. ამავე დროს თავის არსებობას განაგრძობს მოპირდაპირე მიმდინარეობა ქართულ კულტურასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში. მაგრამ საყურადღებოა, რომ მისი წარმომადგენლები, ავტორის სწორი შენიშვნით, გამოხატავენ მაღალ, განვითარებულ საფეხურს წინა პერიოდის მოაზროვნებებთან შედარებით. თუმცა მთელი მათი მოღვაწეობა საბოლოოდ საეკლესიო ინტერესებით განისაზღვრებოდა, რამდენადაც მათი ნააზრევი ქართული სინამდვილის იდეოლოგიურ ვითარებას ასახავდა. ისინი ხშირად გამოთქვამენ პროგრესულ იდეებსაც.

მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოში XIII საუკუნიდან და გამოწვეული იყო მონგოლთა შემოსევებით, თავის უარყოფით კვალს აჩენს ფილოსოფიურ აზროვნებასაც. შეიძლება ითქვას, ქართული ფილოსოფიური აზროვნება დიდი ხნის მანძილზე სრულიად წყდება. უფრო გვიან, შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია რეაქცია XII საუკუნის პროგრესული იდეოლოგიის წი-

* ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 32.

ნააღმდეგე; წარმოიქმნა ავტორის სიტყვით „განახლებული სქოლასტიკა“, რომელიც ჩადგა „თეოლოგიური მიზანდასახულობის სამსახურში“*.

XVII — XVIII საუკუნეებში სქოლასტიკა ნელ-ნელა ადგილს უთმობს აღორძინების გზაზე დამდგარი ფილოსოფიური აზროვნების წინსვლას. სქოლასტიკა სუსტდება და გარკვეული დროის მონაკვეთზე აღინიშნება დასავლეთის აზროვნების გავლენა, რომელიც გამოიხატა ქართველი ბატონიშვილებისა და არისტოკრატის სხვა წარმომადგენელთა** მისწრაფებაში დასავლეთის მეცნიერებისა და ფილოსოფიისაკენ. ამის შედეგია ფრანგული განმანათლებლობის, ვოლტერიანობის და ენციკლოპედისტების გავლენა ქართულ აზროვნებაზე.

უკანასკნელი პერიოდი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნებისა დაკავშირებულია ქართული გარეპოლიტიკური ორიენტაციის საბოლოო გარკვევასთან და რუსეთის აზროვნებასთან.

ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ეს პერიოდი ხასიათდება რუსეთის აზროვნებასთან მჭიდრო იდეური ურთიერთობით. ქართველი ხალხის მოწინავე მოაზროვნეები აქტიურად მონაწილეობენ იმ იდეურ მოძრაობაში, რომელიც დაკავშირებულია სახელოვანი რუსი განმანათლებლების და რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლასთან. ქართული საზოგადოებრივი აზროვნება მე-19 საუკუნის მანძილზე მიჰყვება რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებას და „ეზიარება საერთაშორისო მნიშვნელობას“***.

„ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომეული შეიცავს მრავალ სიახლეს, განსაკუთრებით იმ პერიოდის შესახებ, რომელიც მოიცავს XIII — XVIII საუკუნეებსა და XIX ს. პირველ მესამედს. ამ პერიოდის განხილვას ეთმობა II ტომის უდიდესი ნაწილი, რომელშიც მოცემულია ვრცელი მიმოხილვა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარებისა

* ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 33.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 34.

ხსენებულ საუკუნეებში და ანალიზი ამ ვითარების ასახვისა (ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ; „უკუფენისა“) იდეოლოგიაში. დიდი ადგილი ეთმობა რეაქციას ქართული რენესანსის წინააღმდეგ და ბრძოლას იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის მეხედულეებთან.

ავტორი თვლის, რომ XVII — XVIII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში განსაკუთრებული ადგილი სულხან-საბა ორბელიანსა და ანტონ ბაგრატიონს უჭირავთ.

საბა ორბელიანის მთავარი დამსახურება ძველი კლასიკური ხანის ქართული ფილოსოფიური ტრადიციების აღდგენაში მდგომარეობს. ამ შემკვიდრეობიდან მისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პეტრიწის მეხედულეებს თუმცა „ლექსიკონში“ ორბელიანი ხშირად იყენებს არსენ იყალთოელს ენის სიმარტივისა და ფილოსოფიური ცნებების უფრო შესაფერისი სიტყვიერი გამოხატვის გამო. ავტორი ვრცლად ჩერდება საბას თხზულებების სათაურის („სიბრძნე სიცრუისა“) საკითხზე და მის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა.

„ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ ვრცელი თავი აქვს დათმობილი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ვითარებას XVIII — XIX საუკუნეთა მიჯნაზე; ავტორის ყურადღება გამახვილებულია „კალმასობაზე“. მთავრდება ორტომეული XIX ს. პირველი მესამედის ქართული ფილოსოფიის მიმოხილვით, რომელშიც ცენტრალური ადგილი სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიურ აზროვნებას უჭირავს.

ამ პერიოდის საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს და მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაშია მასთან. ქართული აზროვნების ხაზი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში განსაზღვრა რუსეთის პროგრესულმა იდეოლოგიამ, ხოლო XIX საუკუნის დამდეგიდან ეს მჭიდრო კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა და ქართული საზოგადოებრივი აზროვნება რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზროვნებას კვალდაკვალ მიჰყვება.

რუსეთის მოწინავე იდეოლოგიის „ხერხემალი და მიმართულების მიმცემი“* მატერიალიზმია, რომელიც ბუნებისმეტყველების

* ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 446.

განვითარების მნიშვნელოვან პერიოდში ჩაისახა და გამოხატულება პოვა მ. ლომონოსოვის მსოფლმხედველობაში.

პირველი ქართველი მოაზროვნე, რომელმაც რუსეთის კულტურის გავლენა ძლიერად განიცადა, ანტონ ბაგრატიონია. მაგრამ ის რუსული ფილოსოფიის მემარჯვენე ფრთას დაუკავშირდა და ლაიბნიც-ვოლფის საფეხურზე შეჩერდა. შემდეგი ნაბიჯი წინ აისახა ენციკლოპედიურ ნაშრომში „კალმასობა“, რომელიც წარმოადგენდა ცდისეულ ფილოსოფიას, ან უფრო სწორად, სენსუალისტურ ფილოსოფიას, რუსული ფილოსოფიით გაშუალებულს და მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულს.

სოლომონ დოდაშვილი გამოხატავს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების სწორედ იმ საფეხურს, როდესაც „რუსული აზროვნების ნაკადი შეირწყავს ქართულს და ქართული აზროვნება დაიჭერს გარკვეულ ადგილს რუსული ფილოსოფიის განვითარებაში“ *.

შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ არ იფარგლება ფილოსოფიური საკითხების სფეროთი. გამოკვლევაში ასახულია ფილოსოფიის პრობლემატიკა ქვეყნის მთელ კულტურულ და იდეოლოგიურ ცხოვრებასთან კავშირში.

